ალია

N13/2943/ 29 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

„ქართულ-გერმანულ ექსპედიციას არ გააჩნია ანალიზები, რაც დაადასტურებს, რომ საყდრისში ოქროს მაღაროა აღმოჩენილა!“



## აზერბაიჯანი ხელს არ აწერს, უკრაინაში რევოლუცია დაიწყო...



რატომ აჭიანურებს საგარეო საქმეთა სამინისტრო ევროკავშირთან ხელმოსაწერი ტექსტის გამოქვეყნებას?

## ექსკლუზივი



# სოზარ სუბარიც კარგი მფლანგველი ყოფილა

მანქანებში – 1 336 280 ლარი;
კომპიუტერებში – 937 909 ლარი;
ავეჯში – 1 148 610 ლარი;
მობილურებში – 7 858 ლარი;
რესტორნებში – 59 077 ლარი.

ამისთვის ვიბრძოდით?

## მარგველაშვილი ახალ მრჩეველს წარადგენს

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, გიორგი მარგველაშვილი საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს შეხვდება და მათ ეროვნული უმცირესობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის ახალ მრჩეველს წარუდგენს. შეხვედრა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

## მანქანების ტექდათვალიერება ქართულ კომპანიებსაც შეეძლებათ



## კულუარები



# „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება მწვავდება?

რით ემუქრება მურმან დუმბაძე კოალიციას?

## ღარიბაშვილმა ისრაელში ვიზიტი დაასრულა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ისრაელში ვიზიტი დასრულდა. პრემიერის განცხადებით, საქართველო-ისრაელის მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის ამოქმედება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების ერთგვარი გარანტია.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი და საინვესტიციო სააგენტოს უფროსი გიორგი პერტაია.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს, საგარეო საქმეთა მინისტრ ავიგდორ ლიბერმანს და შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ჰოლოკოსტის მუზეუმი დაათვალიერა და გვირგვინით შეამკო იერუსალიმის მთაზე მდებარე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი, ასევე დაათვალიერა იერუსალიმის ძველი ქალაქი და გოდების კედელი. ვიზიტის დასასრულს პრემიერმა იერუსალიმის ერების ხეივანში სიმბოლური ხის დარგვის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორ და რაზე დაითანხმა თბილისის საკრებულომ მერია



## ექსკლუზივი

# რა მოხდა 3 დღის წინ პარიზში





ოქრუაშვილი მიხეილ ქარელს ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრა?

## უკრაინაში „ფეისბუქს“ აგენტ“ გაბედაგას დაჭერა მოითხოვეს



სად მიაკვლია და რა უთხრა მან „ალიას“

## „სოკარმა“ ევროსტანდარტების შესაბამისი ავტოგასამართი სადგური ზუგდიდში გახსნა

SOCAR GEORGIA PETROLEUM

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## თბილისის ჰაერი ყველაზე დაბინძურებულია

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია და მისი წილი ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში დაახლოებით 71%-ს შეადგენს. ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით ყველაზე მწვავე მდგომარეობა თბილისშია, სადაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ცხოვრობს და მთლიანი სატრანსპორტო საშუალებების 40%-ია თავმოყრილი. მათი წილი ქალაქის დაბინძურებაში 95%-ზე მეტია.

„დამაბინძურებელი ნივთიერებები, რომლებიც გამონაბოლქვ აირთან ერთად ხვდება ატმოსფეროში, რეალურ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელიც ამ მავნე ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ავტოტრანსპორტის მიერ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მოცულობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ავტომობილების ტექნიკური გაუმართაობაა“, – აცხადებენ სამინისტროში.

2012 წლის მონაცემებით, მანქანების 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა და კონტროლის არარსებობის პირობებში, სავარაუდოდ, უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია.

„გამონაბოლქვი აირის მოცულობა და ტოქსიკურობა კი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ძრავის ტექნიკურ მდგომარეობასა და მუშაობის რეჟიმზე. მაგალითად, დიზელის ძრავის გაუმართაობის შემთხვევაში, ჭვარტლის წარმოქმნა შეიძლება 20-ჯერ გაიზარდოს. კარბურატორის გაუმართაობის შემთხვევაში კი, გამონაბოლქვ აირში ნახშირბადის ოქსიდის რაოდენობა 2-10-ჯერ იმატებს“, – განმარტავენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ ჩააგდო ხელისუფლებამ უკანონო ჩანაწერებზე მომუშავე კომისიის მუშაობა?

29 იანვარს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის სხდომა გაიმართება. ეს ის კომისიაა, რომელიც გასულ წელს შეიქმნა და, რომელსაც მაშინდელი შსს-ს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა. შეგახსენებთ, სწორედ ამ კომისიის წევრებისა და მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით მოდულის შენობაში 110 დისკი განადგურდა, რომელიც მოქალაქეებისა და ჩინოვნიკების პირადი ცხოვრების ამსახველ 144 ფაილს შეიცავდა. ამის შემდეგ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ საკითხის შემსწავლელი კომისია ინტენსიურად იმუშავებდა და გაარკვევდა, ვინ იყო ამ ჩანაწერების დამკვეთი, რატომ კეთდებოდა ეს ჩანაწერები და საერთოდ, რატომ ხდებოდა წინა ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ქექვა და ხელის ფათური. ამის ნაცვლად, კომისიის მუშაობაზე არავის უფიქრია. როცა არსებობდა მთავრობის დადგენილება, რომ კომისია თვეში ერთხელ შეკრებილიყო, ეს ვადა ხუთ თვეზე გაიჭიმა.

ხომ არ არის ეს მთავრობის მხრიდან მინიშნება იმაზე, რომ მას საერთოდ არ აინტერესებს კომისიის მუშაობა? და საერთოდ, თავად კომისიამ თუ გამოიკვლია რამე?

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა კომისიის წევრს, „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის“ დირექტორს კახა კახიშვილს.**

– როცა მოხდა ამ ჩანაწერებისა და კადრების ნაწილის განადგურება, მაშინ მიმაჩნდა, რომ ნებისმიერ მასალაზე უნდა დაწყებულიყო გამოძიება და ამის შედეგად უნდა გამოვლენილიყვნენ ის პირები, რომლებიც სისტემატურად ახორციელებდნენ მოქალაქეების ფარულ მოსმენასა და მიყურადებას. სამწუხაროდ, მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება და ნაწილი მასალისა წაიშალა, სამაგიეროდ, დარჩა 25000-ზე მეტი ჩანაწერი და ხელისუფლებიდან მივიღეთ დაპირება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყებოდა გამოძიება. სამწუხაროდ, ამის შემდეგ კომისიის შეკრება არ გამართულა, მეც მაინტერესებს პასუხი კითხვაზე, დაიწყო თუ არა რაიმე გამოძიება. თუ დაიწყო, რა სტადიაზეა, რა გამოვლინდა, არიან თუ არა გამოკვეთილი ორგანიზებული დანაშაულის წევრები, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში ბიუჯეტის გაფლანგვით ახდენდნენ უკანონოდ თვალთვალსა და მიყურადებას. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ, თუ არ დაიწყო გამოძიება, რა მიზეზით არ დაიწყო. გარდა ამისა, კომისიის ფარგლებში ვაპირებდით ასევე სისტემატიზაციას იმ ფაილებისა და იმის ანალიზს, თუ რა ფოკუსჯგუფები აინტერესებდა იმდროინდელ სამინისტროს და ვის უფრო მეტად უსმენდნენ, რომ შემდგომში ჰქონოდათ სურათი, კონკრეტულად, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე. კომისიამ ამის შესახებ დასვა კითხვა, გვითხრეს, კიო და ამის შემდეგ სხდომა არ გამართულა. ამავე დროს სახელისუფლებო მხარეს შევთავაზეთ, რომელიც კომისიაში წარმოდგენილია იუსტიციის მინისტრის, მთავარი პროკურორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის სახით, რომ ერთობლივად გვემუშავა პრევენციულ კანონმდებლობაზე. დღევანდელ სამინისტროს გააჩნია ის აპარატურა, შეიძლება უკეთესიც კი, რომელსაც თავის დროზე გამოიყენებდა ამ უკანონო მოსმენებსა და მიყურადებაზე.

**— სხვათა შორის, ამას წინათ კახა კუკავამ განაცხადა, რომ მაგ აპარატის საშუალებით კიდევ ხდება მოქალაქეების მოსმენა.**

– ეგ არ ვიცი და იმისთვის, რომ არ ამოხდეს, მაგიტომ დავსვით საკითხი, რომ დაგვეწყო მუშაობა პრევენციულ კანონმდებლობაზე, რომელიც საშუალებას არ მისცემს, კონკრეტულ თანამდებობის პირებს, სურვილის შემთხვევაშიც კი, უკანონოდ განახორციელონ მიყურადება მოქალაქეებზე. ამავე დროს საუბარი იყო იმ მუხლის სანქციის გამკაცრებაზე, რომელიც მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და გულისხმობს დასჯას იმის გამო, რომ ვიღაცამ ვიღაცის მასალა გამოაქვეყნა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ ვსაუბრობდით ისეთ სანქციებზე, რომელსაც ექნებოდა შემაკავებელი ეფექტი და, რომლის მიხედვითაც, პოტენციურმა დანაშაულის ჩამდენმა სანქციის გამო დანაშაული არ ჩაიდინოს. მაგრამ რა? ეს ყველაფერი დარჩა მხოლოდ მსჯელობად, ამის შემდეგ კომისია არც კი შეკრებილა.

**— თვლით თუ არა, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება, როგორც სისხლის სამართლის თვალსაზრისით, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც და, რომ ამით პარლამენტიც უნდა დაინტერესდეს? ვინ აკეთებდა ამ ჩანაწერებს, ვინ იყო დამკვეთი.**

– მე ამას არა მხოლოდ ვთვლი, არამედ მოვითხოვ. ამასვე ითხოვს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ხელისუფლებას ვალდებულება აქვს ამ საქმის გამოძიების დაწყების. იმდროინდელი ჩინოვნიკები ამას არ აკეთებდნენ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო, თუ ვის ვისთან სძინავს, ან ვის რაზე ესაუბრება. ეს მასალა სჭირდებოდათ, რომ მოეხდინათ, ან ამ პირის კომპრომენტაცია, ან მისი „დავერბოვკება“, რომ საკუთარი მიზნების შესასრულებლად გამოეყენებინათ ის პირები, რომელთა მიმართაც ჰქონდათ კომპრომატები. ამიტომ ძალიან ბევრი იქნება ამ საქმეში დაზარალებული. ამიტომაც ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, არა მარტო ის, კონკრეტულად ვინ იჯდა კამერასთან და ვინ იღებდა, არამედ ის, თუ ვინ უკვეთდა ასეთი ტიპის მასალებს და მივიღებთ დანაშაულის მთელ ჯაჭვს. ვიმეორებ, აქ პირდაპირ იკვეთება უდიდესი საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტი, რადგანაც ამ ყველაფრის შეგროვებაზე ძალიან დიდი ფული იხარჯებოდა არამიზნობრივად და ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. წესით, მოცულობითი გამოძიება უნდა დაწყებულიყო.



**— შესაძლოა, ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ამ კომისიისადმი იმით აიხსნას, რომ ხელისუფლებას საერთოდაც მისი გაუქმება უნდოდეს?**

– არც ეგ არ არის გამორიცხული. ფაქტობრივად, ხუთი თვეა, არ შევკრებილვართ და აქედან გამომდინარე, შეიძლება, იმაზეც ვისაუბროთ, რომ კომისია ვიღაცისთვის არ არის საჭირო, ხომ? მაგრამ მისი არსებობა საზოგადოებისთვის არის საჭირო და საინტერესო, მოკლედ, ამ შეკრებაზე გამოჩნდება ყველაფერი.

**ამის შემდეგ „ალია“ უკავშირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს ნინო გიორგობიანს:**

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ამ შეხვედრაზე ჩვენი სამინისტროს მხრიდან აუცილებლად გაკეთდება განცხადება, თუ რა პროცესები მიდის ამ მხრივ. სამინისტრო მუშაობდა ამ თემაზე, მიდის გამოძიება და ამას ყველაფერს საზოგადოება შეხვედრაზე გაიგებს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი ნეთანიაჰუს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, პრემიერ-მინისტრთან საუბარი შეეხება ორმხრივი ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებს.

„გაიმართა ერთობლივი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომა. მხარეებმა ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს: თანამშრომლობის მემორანდუმსა და კომისიის სხდომის შედეგების ოქმს. კომისიის მიზანია, ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის მხარდაჭერა. ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ, ხელსაყრელი საფუძველი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოლაპარაკებებს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველო ნომერ პირველი რეფორმატორია?



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონალური დირექტორის, ბრუნო ბალვანერის განცხადებით, ბანკის ყოველწლიური შეხვედრის მასპინძლობის სურვილი ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა, თუმცა საქართველო რამდენიმე მიზეზის გამო შეარჩიეს.

მისი თქმით, ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩაეტარებინა ყოველწლიური შეხვედრა კავკასიაში და ამ შემთხვევაში საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელმაც შეძლო შესაბამისი პირობების შეთავაზება.

„გარდა ამისა, ეს არის გზა იმისა, რომ ვაღიაროთ საქართველოს მიღწევები. საქართველო არის ნომერ პირველი რეფორმატორი და დემოკრატიული ქვეყანა, რომელმაც მშვიდობიანი გზით შეცვალა ხელისუფლება. ამავე დროს ეს არის სერიოზული ვალდებულება, რომელიც აიღო საქართველომ და აჩვენებს მის მზაობას ურთიერთობების შემდგომი ეტაპისთვის. ეს იქნება კარგი შესაძლებლობა საქართველოში ბიზნესის განვითარებისთვის“, – განაცხადა ბალვანერამ.

მისი ინფორმაციით, 2015 წელს შეხვედრა ლონდონში უნდა გამართულიყო, თუმცა დიდი ბრიტანეთი მასპინძლობისთვის მზად არ აღმოჩნდა, ამიტომ 2015 წლის 14-15 მაისს, შეხვედრას თბილისი უმასპინძლებს. (ინტერპრესნიუსი)

# აზერბაიჯანი ხელს არ აწერს, უკრაინაში — რევოლუცია დაიწყო...

## რატომ აჭიანურებს საგარეო საქმეთა სამინისტრო ევროკავშირთან ხელმოსაწერი ტექსტის გამოქვეყნებას?

**„მრეწველთა“ პარტიის ლიდერის, დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით, შესაძლოა, ქართული ეკონომიკა დაზარალდეს. ამიტომ ის დოკუმენტის გასაჯაროებას ითხოვს, რათა დროულად შეისწავლონ და მოსალოდნელი რისკები თავიდან აიცილონ.**

**„ალიას“ ესაუბრება უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე:**

– მე არასდროს გამოვსულვარ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის წინააღმდეგ. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ საჭირო და აუცილებელია, გავიგოთ, რა წერია იმ ათასფურცლიან დოკუმენტში, რომელიც ორივე მხარის მიერ იქნა წინასწარ ხელმოწერილი. უნდა ვიცოდეთ, რა პირობებია ჩვენი ქვეყნის მიმართ წამოყენებული. ძალიან მონური გამოდის ის, რომ აზრსაც არ გვეკითხებიან, არ წაგვიკითხავს დოკუმენტი არც პოლიტიკოსებს, არც ბიზნესმენებს და არც ბანკირებს. არ ვიცით, რა ეკონომიკური პრივილეგიები გვექნება, ან რა წაგვერთმევა. ჩვენ ეს ყველაფერი უნდა გამოვაქვეყნოთ, გავაანალიზოთ და ისე გავაკეთოთ, როგორც ჩვენ გვაწყობს. იდეალი ჩემთვის არც რუსეთია და არც ევროკავშირი, საქართველო მინდა იყოს ნეიტრალური ქვეყანა, რომელიც თავისი თავის პატრონი იქნება. ამიტომ ვამბობ, რომ როდესაც ვიქნებით ნეიტრალური და დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩვენ თვითონ ავირჩევთ, სად სჯობია და როგორ სჯობია. შესაძლოა, ევროპა სჯობია ყველა სხვა ვარიანტს, მაგრამ ვიცოდეთ, რა პირობებია ჩადებული. გამოქვეყნდეს ის დოკუმენტი, რაზეც ხელი მოვაწერეთ, ვიმსჯელოთ და შემდეგ გადავწყვიტოთ.

**— დოკუმენტის ის ნაწილი, რაც ცნობილია, გულისხმობს შემდეგს, რომ საქართველოში შემოვლენ უცხოური კომპანიები, განვითარდება იმპორტი, თუმცა არ უნდა ველოდოთ ექსპორტის მნიშვნელოვნად გაზრდას. ის, რომ უცხოური ფირმები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, უკვე რეალობა ხდება, რადგან ეკონომიკისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებას უცხოურ კომპანიასთან, რომელიც საქართველოში ავტოტრანსპორტის ტექნიკურ დათვალიერებას ჩაატარებს. მსგავსი გარიგებები არ არის საფრთხე, რომ ეკონომიკურ ნაწილში მონის პოზიციაში აღმოვჩნდებით?**

– ეს მეორე თემაა, კონკრეტული საკითხია. მე ყოველთვის ვიყავი მომხრე, რომ ქართველ მეწარმეს, ქართული ტრანსპორტის მუშაკს ჰქონდეს უფლება, თანაბარ პირობებში მაინც იყოს. ეს უნდა განვიხილოთ მაშინ, როდესაც მივიღებთ საბოლოო დოკუმენტს. მაგაზე ვსაუბრობ 20 წელია, რომ ქართველ კაცს არანაკლებ დიდი პოტენციალი აქვს თუნდაც გონებრივი, გინდაც ფიზიკური, რომ გააკეთოს და აწარმოოს საქართველოში, იქნება ეს პროდუქტი, თუ სხვა დასახელების საქონელი. რატომ უნდა შემოვიტანოთ გენმოდიფიცირებული პროდუქტი, როცა ადგილზე შეგვიძლია ვაწარმოოთ? გეთანხმებით, ტრანსპორტშიც ბევრი პრობლემა შეიქმნება. რატომ უნდა მართოს სხვამ ეს სფერო? მომგებიანი ბიზნესია და რატომ არ უნდა იყოს ამაში ქართული კომპანია პრივილეგირებული?

**— როგორც მითხრეს, საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ ისევ თარგმნის ქართულად. აგვისტომდე დიდი დრო აღარ დარჩა და როცა გამოაქვეყნებენ, შეიძლება შესწავლაც ვეღარ მოასწროთ.**

– კი, აგვისტომდე გვაქვს ვადა, რომ ან მოვაწეროთ ხელი ამ დოკუმენტს, ან არ გავაგრძელოთ თანამშრომლობა ევროკავშირთან. სწორედ მაგას ვამბობ, რომ მივცეთ საზოგადოებას უფლება, გააანალიზოს, რატომ მივდივართ და რატომ გვხიბლავს ევროკავშირი. წინააღმდეგნი კი არ ვართ, უბრალოდ, ხომ გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, სად მივდივართ? მე უბრალოდ მინდა ვიცოდე, რას ვაწერთ ხელს. ალიევი ძალიან სწორად მოიქცა, ის თავისი ქვეყნის ავტორიტეტს უფრთხილდება, რატომ უნდა მიიღონ ნაკარნახევი უპირობოდ? ჩვენც ასე გავაკეთოთ, გავაანალიზოთ, ვისაუბროთ, განვიხილოთ, რას გვაძლევს ამ დოკუმენტზე ხელმოწერა, რა დადებითი შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას და არა ასე უპირობოდ დავეთანხმოთ შემოთავაზებულ პირობებს. მე არც ევროკავშირი მინდა, არც რუსეთი, არც ნატო, მე მინდა, ჩემი ქვეყნისთვის საუკეთესო პირობები შეიქმნას ნებისმიერ შეთანხმებაში. არ გვინდა წინასწარ ერთი ამბის ატეხა, გასაჯაროვდება ტექსტი და შემდეგ ვთქვათ ჩვენი აზრი.

შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს ჩვენთვის რაღაც პირობები, რასაც ევროკავშირი გვიყენებს. ევროპა ცნობილია, რომ მეტად განვითარებული ქვეყანაა, თავისი ბაზრების დაცვა ყველას უნდა, ყველას სურს, საკუთარი პროდუქცია გაასაღოს, ამიტომ არის საფრთხე, რომ შეიძლება ჩვენ წამგებიან პოზიციაში აღმოვჩნდეთ. სხვათა შორის, მე ძალიან მალე გავაკეთებ განცხადებას პარლამენტში იმის შესახებ, რა საკვები შემოდის საქართველოში. მიუღებელია იმ საკვების მიღება, რაც საქართველოში შემოდის, მით უფრო, რომ ჩვენ თვითონ მოვსპეთ კონტროლი შემოტანილ პროდუქციაზე, ეს არის პრობლემა. ამას ვამბობდი ყოველთვის და ახლაც ამას ვამბობ. ძალიან მალე მე ამაზე ღია განცხადებას გავაკეთებ.

**— დაბოლოს, ლარის კურსის დევალვაციასთან დაკავშირებითაც გკითხავთ. ფინანსთა მინისტრი გვაიმედებს, რომ არ წარმოადგენს განსაკუთრებულ პრობლემას ეროვნული ვალუტის 8%-იანი ინფლაცია. თქვენც ასე ფიქრობთ?**

– ბუნებრივია, ჩვენც გადავხედავთ ჩვენს ფასებს და ვეცდებით, რომ ნორმაში ჩავეტიოთ. არ არის ისეთი საგანგაშო მდგომარეობა, რომ პანიკის საფუძველი იყოს. 1.654 იყო ბოლოს ლარი დოლართან მიმართებაში და ახლა 1.77-ია, ეს არ არის საგანგაშო. თუკი ლარი დოლართან მიმართებაში 2.0 გახდება ან უფრო გაუფასურდება, ბუნებრივია, მაშინ ეს მაჩვენებელი საგანგაშო იქნება, მანამდე კი პანიკის საფუძველი მე, მგონი, არ არსებობს.



შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

## პრეზიდენტს დეპუტატები თებერვალში მოუსმენენ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტი მარგველაშვილი მზად არის პარლამენტში მოსასვლელად, დეპუტატები მას თებერვლის განმავლობაში მოუსმენენ.



„ამ თემაზე აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს. პრეზიდენტის მოსმენა მოხდება საგაზაფხულო სესიის პირველ, მეორე თუ მესამე დღეს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის“. – აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე გახდება ცნობილი, კონკრეტულად როდის მივა პრეზიდენტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

როგორც ცნობილი გახდა, პარლამენტის თავმჯდომარეს უმცირესობასთან უკვე ჰქონდა კონსულტაცია პრეზიდენტის მოსმენის ფორმატთან დაკავშირებით.

(ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კონკურსი გამოცხადდა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ერთი წევრის ასარჩევად პარლამენტის თავმჯდომარემ კონკურსი გამოაცხადა. საუბარია ვაკანტურ ადგილზე, სადაც წევრის დამტკიცებას პარლამენტართა ხმების 2/3-ი სჭირდება. საბჭოში ამ ადგილის შესავსებად გასულ წელს კონკურსი ორჯერ გამოცხადდა, თუმცა მმართველმა გუნდმა და უმცირესობამ კანდიდატებზე პოზიციების შეჯერება ვერ შეძლეს და, შესაბამისად, პარლამენტმა ვერც ერთი კანდიდატი ვერ დაამტკიცა.

კანონისა და საკონკურსო პირობების თანახმად, პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად საქართველოს ის მოქალაქე უნდა აირჩიოს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ 10 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია.

პარლამენტის წევრის, მოსამართლისა და პროკურორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენა არ შეიძლება. (ინტერპრესნიუსი)

## საავიაციო ქარხნის აეროდრომზე სპეცმანქანის პრეზენტაცია გაიმართა




ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის საავიაციო ქარხნის აეროდრომზე ინტეგრირებული ქსელების მანქანის პრეზენტაცია გაიმართა. ირაკლი ალასანიას თქმით, მანქანამ ტესტი უკვე ჩააბარა და მისი შექმნისას სამხედროების შეფასებები გათვალისწინებულია.

„მთავარი არის ის, რომ ჩვენ გავითვალისწინეთ 2008 წლის ძალიან ცუდი გამოცდილება. როდესაც აგრესიული ომი აწარმოეს საქართველოს წინააღმდეგ, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ყველაზე მეტი დეფიციტი სწორედ კავშირგაბმულობაში, მართვის სისტემაში ჰქონდა. სწორედ ამიტომ ეს შეკვეთა მიცემული იყო „დელტასთვის“ და ეს ამოცანა ძალიან კარგად შეასრულეს, კიდევ გაიტესტა, მაგრამ მთავარია, რომ გვაქვს საიმედო კავშირგაბმულობა, რაც ნიშნავს დაშიფრულ კავშირს უკვე ბატალიონების დონეზე და ეს იქნება მნიშვნელოვანი ზოგადად ინტეგრირებისთვის მთელი საბრძოლო მოქმედებების კავშირგაბმულობის“, – განაცხადა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## საგარეო უწყება იტალიასთან ინფორმაციას ამოწმებს




საქართველოს საგარეო უწყება ცხინვალსა და იტალიის ქალაქ ლანუზეის შორის ე.წ. შეთანხმების გაფორმების შესახებ ინფორმაციას იტალიურ მხარესთან ამოწმებს. სამინისტროს ინფორმაციით, იტალიის ოფიციალური პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით რჩება მტკიცე და ურყევი.

„აქედან გამომდინარე, ე.წ. „შეთანხმების" გაფორმების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს იტალიის საგარეო უწყებას რეაგირებისა და სათანადო ზომების მიღების თხოვნით", – აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ოსურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის 13 იანვარს, ცხინვალის ე.წ. ადმინისტრაციამ გააფორმა „ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება" სარდინიის ქ. ლანუზეისთან. (ინტერპრესნიუსი)

# უკრაინაში „ფეესბეს" აგენტ" გაბედავას დაჭერა მოითხოვეს

## სად მიაკვლია და რა უთხრა მან „ალიას"



ერთ-ერთ უკრაინულ პორტალზე ყოფილი პოლიტპატიმრისა და უფლებადამცველის, გიორგი გაბედავას ფოტო გაჩნდა განცხადებით, რომლის ავტორიც მის დაკავებას მოითხოვს და ყველას აფრთხილებს, რომ „ევრომაიდანზე რუსული „ფეესბეს" აგენტები ჩანერგეს".

განცხადების ავტორი წერს: „გაბედავა თავს პროუკრაინელ ქართველად ასაღებს.

მაიდანი: კონტრდაზვერვის ყურადღების სამიზნე!!! კიევში, მაიდანზე შემოგზავნილია „ფეესბეშნიკი" გიორგი გაბედავა. ის „ფეესბეს" შტატიანი აგენტის, ზაზა გაბედავას ვაჟია. ისინი საქართველოში ცნობილი არიან, როგორც პროვოკატორები და მუშაობენ პუტინის მიერ ხელდასმულ ლიდერ ბიძინა ივანიშვილზე. ის დადის მაიდანზე და თავს პროუკრაინელ ქართველად ასაღებს. უკრაინელებო, თქვენ იცით, რაც უნდა გააკეთოთ - ეს ნაძირალა უნდა დააკავოთ. თუ ქართული „ლეგენდისა" და „ფეესბეს" აგენტის შესახებ ვინმეს რაიმე ინფორმაცია გააჩნია, სასწრაფოდ შემატყობინეთ! ეს აუცილებელია!" - ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც „ნაროდ.ი.უა"-ს ვებგვერდზე განთავსდა.

**„ალია" ინფორმაციის დაზუსტების მიზნით გიორგი გაბედავას დაუკავშირდა:**

**— გიორგი, მართალია, რაც კიევში თქვენი შესაძლო დაკავების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა?**

– ვიცი ამ ინფორმაციის შესახებ. 4 დღით ვიყავი კიევში, სადაც „ნაციონალებიც" იყვნენ, ანუ ხალხი, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს. ამ ხნის მანძილზე უკრაინელებთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. იმიტომ ჩავედი იქ, რომ ჩემი თვალით მენახა, რა სიტუაციაა. მონაყოლს საკუთარი თვალით ნანახი სჯობდა. ჩემი ფულით წავედი, ზოგი ვისესხე, მერე ტელეფონი გავყიდე. ვნახე ჩემი თვალით, რომ იანუკოვიჩის მხარდამჭერების სრული საზომჟეთია, მეორე მხარეს აქციები იყო გამართული კომერციული თვალსაზრისით. საუბარი მაქვს კლიჩკოს მომხრეებზე. წარმოიდგინეთ, რალაცებს ყიდდნენ აქციის დროს, სურათის გადაღება ფასიანი იყო. 4 დოლარი გადაგვიხადე და გადაგალებინებ სურათს ჩვენთანო, მითხრეს. იქ იყვნენ სხვა ადამიანებიც, რომლებთანაც დავმეგობრდი, სურათებიც გადავიღეთ, დავლიეთ, გავხალისდით, ვიმღერეთ და წავედი ხარკოვში მეგობრებთან.

**— „ნაციონალებს" ხომ არ დაკონტაქტებიხარ?**

– არა, აქციის მონაწილეებმა მითხრეს თვითონ, იქით ისეთი ხალხი ზის, არ გესიამოვნება და ნუ მიხვალო. კარავი ჰქონდათ „ნაციონალებს" გაშლილი და დროშას აფრიალებდნენ.

**— შენ „ფეესბეს" აგენტად მოგიხსენიებენ ამ ინფორმაციაში, ამაზე რას მეტყვი?**

– რას ნიშნავს „ფეესბე"? მე ვიცი, რუსული სპეცსამსახურიაო, ასე ამბობენ, მეტი არაფერი ვიცი მაგის შესახებ. კომენტარსაც ვერ გავაკეთებ. ადამიანი, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, იქ დგას, კიევში აქციაზე და ავრცელებს ინფორმაციას, ნაციონალია და საუბრობს სულ, რომ „ნაციონალები" დემოკრატიის მხარდამჭერები არიან. ქართველებს გვახსოვს 7 ნოემბერი, 26 მაისი, ქუჩის დარბევები და მკვლელობები, მაშინ რატომ არ უჭერდნენ მხარს დემოკრატიას?

**— ზაზა გაბედავაც იქნა ნახსენები ამ ინფორმაციაში, რა კავშირშია შენს კიევში ვიზიტთან მამაშენი?**

– დიახ, ნახსენებია, როგორც ტერორისტი. როლანდ ახალაიას წყალობით მამაჩემს 11 წელი აქვს მისჯილი.

იმის გამო, რომ კომუნისტების დროს „კაგებეს" შენობაზე განახორციელა თავდასხმა და იყო ზვიადისტი, მას მიუსაჯეს ეს წლები. ზურაბ ჟვანიამ ამნისტია გამოსცა ამ მუხლებზე, რადგან მაშინ ყველას იარაღი ეჭირა, მაგრამ როლანდ ახალაიამ მამაჩემს არ შეახო და იგივე მუხლით 2006 წელს მიუსაჯა 11 წელი.

**— უწყება ხომ არ მოგივიდა უკრაინის რომელიმე ძალოვანი სამსახურიდან, დაკითხვაზე გიბარებთო?**

– არა, არანაირი. მე კიდევ ვაპირებ კიევში ჩასვლას, კლასელები მყავს იქ და დამპატიჟეს. „შავ სიაშიც" არ ვარ შეყვანილი, ან რატომ უნდა შევეყვანე? პოლიტიკური განცხადებაც არ გამიკეთებია, ვარ ნეიტრალური და ვთქვი, რაც ვნახე. არ მომეწონა ის, რომ აქცია კომერციული ხასიათის გახდა, როდის იყო საქართველოში, აქციაზე სურათის გადაღება ფასიანი იყო? თუ ამ სიმართლის გამო გავხდი მიუღებელი, კი ბატონო, ვიყო...

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

## მოსახლეობა „მაგთის" წარმომადგენლებს დაუპირისპირდა

ვაშლიჯვრის დასახლებაში, ადგილობრივი მოსახლეობა კომპანია „მაგთის" წარ-



მომადგენლებს დამონტაჟებული გადამცემის ჩართვის საშუალებას არ აძლევს. ადგილობრივი მაცხოვრებლების განცხადებით, ისინი „მაგთის" საშუალებას არ მისცემენ გადამცემი აამუშაონ, რადგან კორპუსებთან ახლოს ძალიან, 17 მეტრში მდებარეობს.

„ვაშლიჯვარში, მე-12 ა კორპუსში ულირსი მობინადრე გვყავს, რომელმაც საკუთარ ავტოსადგომზე „მაგთის" გადამცემი დაამონტაჟებინა. ეს ადამიანი ამისთვის ყოველთვიურად ქირის სახით 1400 ლარს მიიღებს. ისეთი ანძაა ყველა კორპუსს უყურებს და მოვიწამლებით. უკვე მესამედ ცდილობენ, გადამცემი დენს შეუერთონ", – აღნიშნავენ ადგილობრივი მაცხოვრებლები.

მათივე ინფორმაციით, გადამცემი, ხალხის დაუკითხავად დეკემბრის ბოლოს დადგეს. (ინტერპრესნიუსი)

# „სოკარმა" ევროსტანდარტების შესაბამისი ავტოგასამართი სადგური ზუგდიდში გახსნა

კომპანია „სოკარი" ავტოგასამართი ქსელის განვითარებას სწრაფად და ეფექტურად ახორციელებს. საუკეთესო ტექნიკით აღჭურვილი ავტოგასამართი სადგურები საქართველოს ყველა რეგიონის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ წერტილშია განთავსებული. გასულ კვირას კიდევ ერთი, ევროსტანდარტების შესაბამისი, რიგით 107-ე ავტოგასამართი და რიგით მე-12 გაზგასამართი სადგური ქ. ზუგდიდში, კონკრეტულად კი ჭითაწყარში „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" დირექტორმა დავით ზუბიტაშვილმა გახსნა. აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, შეიძინოს 5 ტიპის საავტომობილე საწვავი ან ბუნებრივი აირი.




ისევე როგორც სხვა ავტოგასამართი სადგურები, „სოკარის" ეს ობიექტიც აღჭურვილია იაპონური ტექნიკის საწვავის გამშვები სვეტებით და გამოირჩევა მაღალი დონის მომსახურებით. სწორედ აღნიშნული ტექნიკა უზრუნველყოფს საწვავის ჩასხმას 100%-იანი სიზუსტით და საწვავის შეძენას უფრო მომგებიანს ხდის. ხოლო ავტოგაზგასამართი სადგური აღჭურვილია არგენტინული ბრენდი – „**Galileo**"-ს, ბოლო თაობის გაზ-საკომპრესორო დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ, დასაშვებ დონეზე მაქსიმალურად მაღალი წნევით და რაც ყველაზე მთავარია, გაზის უსაფრთხოდ ჩაჭირხვნას მომხმარებლის ავტომობილში. მეტი გამავლიანობა და პროდუქტის ხარისხი „სოკარის" მომხმარებლისთვის საუკეთესო ფასადაა ხელმისაწვდომი.

ავტოგასამართ სადგურზე 20-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა, რაც რეგიონისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაცემია.

ავტოგასამართ სადგურზე ასევე განთავსებულია სუმერმარკეტი „ეს მარკეტს".

სოკარი მომხმარებლებს ასევე სთავაზობს ბონუს ბარათებით მომსახურებას და პროდუქტის შეძენის შემთხვევაში დაგროვებით ქულებს „ენერჯი ქარდსა" ან „უნიქარდზე" დაურიცხავს. ასევე, მძღოლებს შეუძლიათ, სრულიად უფასოდ ისარგებლონ სერვის ბლოკებით, რაც უფრო კომფორტულსა და სასიამოვნოს ხდის „სოკარის" ავტოგასამართ სადგურზე სტუმრობას.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „სოკარი" 2006 წლის შემოდგომაზე შემოვიდა საქართველოს ნავთობბაზარზე და უკვე წლებია ლიდერის პოზიციას არ თმობს. ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე კომპანია თითოეული მომხმარებლის კომფორტზეა ორიენტირებული. მომხმარებლისთვის მოსახერხებელ და ქვეყნისთვის სტრატეგიულ წერტილებში გადანაწილებული ავტოგასამართი სადგურების ქსელი სრული კომფორტითა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. ისეთი ტრანზიტული მნიშვნელობის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია ევროპული დონის ავტოგასამართი სადგურების არსებობა.

კომპანია „სოკარი", როგორ ქვეყნის ძლიერი და ღირსეული პარტნიორი, შეუფერხებლად განაგრძობს ქვეყანაში ინვესტირებასა და ასობით ადამიანის დასაქმებას.

# „ქართულ-გერმანულ ექსპედიციას არ გააჩნია ანალიზები, რაც დაადასტურებს, რომ საყდრისში ოქროს მაღაროა აღმოჩენილი!“

**„მე ვიტყვი იმას, რაშიც დარწმუნებული ვარ და რაზეც პასუხს ვაგებ... იქ შესასწავლი აღარაფერია და გერმანელები რომ ჭკუას გვასწავლიან, ეს დავიმსახურეთ! ეტყობა, გვინდა, რომ ჭკუა გვასწავლონ“, — ამას მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არქეოლოგი კიაზო ფიცხელაური ამბობს. მეცნიერი, რომელიც თავად გახდა საყდრისთან დაკავშირებით გახმაურებული ამბის მონაწილე.**

– საყდრისის თემა იყო ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი, სანამ 2013 წელს სექტემბერში ივანიშვილთან არ გამოგვიძახეს. იმ შეხვედრაზე გავერკვიე, რა ხდებოდა და აქედან გავხდი ამ ამბის მონაწილე. მახსოვს, შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კომპანიის შეჩერება შეუძლებელი იყო, რადგანაც „RMG gold“-ს შემოჰქონდა ქვეყნის ბიუჯეტში ყველაზე დიდი თანხები და ოქროს მომპოვებელ კომპანიას დაევალა, რომ, რადგანაც ის იყო იმ მიწის ფაქტობრივი მესაკუთრე, სადაც საყდრისი მდებარეობს, მასვე დაესრულებინა არქეოლოგიური სამუშაოები. ეს ბუნებრივია, რადგანაც, რახან „RMG gold“-ს აქვს ეს მიწა ნაყიდი, ცხადია, ის უნდა განაგებდეს ამ მიწაზე ყველა სამუშაოს. იქვე გადაწყდა, რომ სამუშაოების მონიტორინგი უნდა ეწარმოებინა მეცნიერებათა აკადემიას, ხოლო „RMG gold“-ის მიერ საყდრისში ჩასატარებელი სამუშაოების პროექტის შექმნა წილად მე მხვდა. შეხვედრაზე ასევე გადაწყდა, რომ ყველა არქეოლოგიური სამუშაო უნდა დასრულებულიყო ნოემბერში. პროექტის კეთებისას კარგად შევისწავლე თავად საყდრისის ბორცვი. ლამბაშიძის არქეოლოგების ჯგუფს ნამუშევარი აქვთ მხოლოდ ჩრდილო ნაწილში, საიდანაც ჩასულები არიან კლდეში ბოლომდე, 27 მეტრის სიღრმეზე. ამ დროს ბორცვის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი სრულიად ხელუხლებელია და სრული სურათის წარმოდგენისთვის, ჩემი დაგეგმარებით, გადავწყვიტეთ სწორედ ცენტრისა და სამხრეთი ნაწილის შესწავლა. ამისთვის 84 შურფი გაკეთდა და რა აღმოჩნდა? ეს შესასწავლი ნაწილი სულ ერთიანად კლდე გამოდგა! იქ არაფერი (ხელს ხელზე ურტყამს), აბსოლუტურად არაფერი არ არის, სრულიად სტერილური ადგილია, მხოლოდ კლდეა! ანუ, ოქრო არის მხოლოდ ჩრდილო ნაწილში, სადაც ამათ გათხარეს. არქეოლოგები ამბობენ, რომ ღრმად შეიძლება კიდევ იყოს ოქრო, მაგრამ რაც ჩვენ დავადგინეთ, სხვა ადგილას ოქრო არ არის.

**— რაც შეეხება არქეოლოგების მიერ გათხრილ ადგილს, არის თუ არა ეს მაღარო?**

– მაღაროზე მე სხვა წარმოდგენა მაქვს და ამაზეც მოგახსენებთ. მე ჩემი თვალით ვნახე ერთ ადგილას ოქროს ჩანართები და არც არავინ უარყოფს ამ ფაქტს, მაგრამ ეს ე.წ. მაღარო, თუ წარმოება, რას ამუშავებდა თავის დროზე, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**— რას გულისხმობთ?**

– ვიტყვი იმას, რაშიც დარწმუნებული ვარ და, რაზეც პასუხს ვაგებ: 80-იან წლებში გეოლოგებმა, კერძოდ, აწ გარდაცვლილმა თემო მუჯირმა გამოთქვა აზრი, რომ საყდრისში ოქრო იყო და ამის გამო ამ ადგილას გაკეთდა ორი ჰორიზონტალური შტოლნა, იგივე წვრილხვრელი და გამოკვლეულ იქნა საყდრისის ბორცვის ფსკერი. მაშინ ოქროს ვერ წააწყდნენ. ამის შემდეგ უკვე ეს ქართულ-გერმანული ექსპედიცია მოვიდა და დაიწყეს მუშაობა. იქ ნამდვილად ხდებოდა მეტალის დამუშავება, მაგრამ რა მეტალის? მეც მოხარული ვიქნები, თუკი იქ ნამდვილად ოქროს დამუშავება ხდება, მაგრამ ამას სხვა არგუმენტები და დადასტურება სჭირდება. ირინა ლამბაშიძეს პირადად ვთხოვე, რომ ჩემთვის ანალიზები მოეცა. საქმე ისაა, რომ ოქროს მოპოვებისას იმ უროზე ან თუნდაც ქვაზე, რაზეც ხდებოდა ოქროს მოპოვება, უნდა დარჩენილიყო ოქროს ნიშნები, ეს აპრიორია და მიღებული წესია და ეს უნდა ჰქონოდა ექსპედიციას, რომელმაც 9 წელი იმუშავა გათხრებზე. მოკლედ, ანალიზები რომ მოვიკითხე, პასუხი იყო: არსებობს ანალიზი, მაგრამ ამჟამად საქართველოში არ არის, გერმანიაშიაო. ამის შემდეგ ითქვა, ანალიზები კულტურის სამინისტროს მივეცითო და იქიდან მოიპარესო. მოკლედ, ჯერჯერობით, ანალიზების უქონლობის გამო, არ დასტურდება საყდრისში ოქროს მაღაროს აღმოჩენა.

**— რაც შეეხება საყდრისს, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი?**

– ახლა „მსოფლიოში უდიდესი და უპირველესი“ ნამდვილად არ არის და გეტყვით: ეს არის არქეოლოგიური ობიექტი და არა ძეგლი, აქვე ხაზგასმით ვამბობ, რომ თანაც ობიექტია ბორცვის მხოლოდ ჩრდილოეთის მცირე ნაწილი. წეღანდელ საუბარს გავაგრძელებ და მეტს გეტყვით: ლამბაშიძის არქეოლოგებმა რომ დაასრულეს ორთვიანი სამუშაოები, ამის შემდეგ უკვე ჩვენ, კომისია, ჩავედით იმ შტოლნაში, სულ ქვემოთ, 27 მეტრის ძირში და, ჩემი კატეგორიული მოთხოვნით, მოვთხარეთ ძირი – გვაინტერესებდა, იქ თუ არსებობდა ოქრო და არაფერი! ქვემოთ უკვე კლდეა და არავითარი ოქრო იქ არ არის. ამდენად, ერთადერთი მეცნიერული დასკვნაა, რომ ეს ობიექტი არის, ფაქტობრივად, შესწავლილი და ლაპარაკი იმაზე, რომ კიდევ გაგრძელდეს კვლევა, გამოირიცხა. ლამბაშიძე ამბობდა, ძეგლი კიდევ შესასწავლიაო. საყდრისზე უკვე დაიხარჯა 2 მილიონი, მაგრამ რახან კიდევ რჩებოდა შესასწავლი ნაწილი, მაშინ თანხა, შესაბამისად, მეტი იქნებოდა საჭირო, მაგრამ ჩვენ ამას წერტილი დავუსვით: იქ შესასწავლი აღარაფერია.

**— ანუ, თქვენი დასკვნაა, რომ საყდრისის მხოლოდ ჩრდილო ნაწილია ობიექტი, რომელიც უკვე შესწავლილია და რომ სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში არაფერი აღმოჩნდა, რომ საყდრისი მაღარო კი არა, კლდის ნაპრალია, და რომ „უძველესი და უპირველესი“ აქ არაფერია?**

– ნამდვილად.

**— თქვენ წეღან თქვით ფრაზა, რამაც დამაინტერესა: რომ აქ დაიხარჯა გერმანელების 2 მილიონი.**

– დიახ, მაგრამ, როგორც ამბობენ, გერმანელების ეს ფული საქართველოში არ შემოსულა და, ჩემი აზრით, ეს ჩემი საკვლევი უკვე არ არის. რაც შეეხება იმას, აი, გერმანელები ჭკუას რომ გვასწავლიან, ეს, არ გეწყინოთ, და დავიმსახურეთ: ეტყობა, გვინდა, რომ გვასწავლონ ჭკუა! ეგ გერმანელები ჩამოიყვანა ეროვნულმა მუზეუმმა, იგივე ლორთქიფანიძემ და ლამბაშიძემ და მე კითხვა მინდა დავსვა: გასაგებია, გერმანელები აფინანსებდნენ გათხრებს, მაგრამ ჩემს ქვეყანაში, ჩემს ტერიტორიაზე, ქართველს რატომ არ ამუშავებდნენ? რატომ ჰყავთ ჩემი გეოლოგი და არქეოლოგი აგდებული?

**— კი, მაგრამ ეს ხომ ქართულ-გერმანული ექსპედიციაა?**

– რანაირად არის ერთობლივი, როცა სულ გერმანელები არიან და მარტო ორ კაცს, მათ შორის გოგი მინდიაშვილსა და გოგოჭურს რომ ამუშავებენ ქართველს? გერმანული კაპიკი



რომ არ შემოსულა საქართველოში, ეს არის ერთობლივი ექსპედიცია? ლაბორატორია იქ კეთდება, ფული იქ ნაწილდება? ამ ყველაფრის შემდეგ ის გერმანელი დაგაჯდება თავზე, აბა, რას იზამს?

**— და ყოველივე ამაში ლამბაშიძე რა თამაშს თამაშობს?**

– იმას, რასაც თამაშობს და ჩვენ გამოვდივართ იდიოტები. ეს „მწვანე ალტერნატივა“ და „მწვანე მუშტები“ რომ ისევ ჩვენ გვებრძვიან: „უძველეს მაღაროს ანგრევენო“. მერე მოიგონეს და ხალხში გაავრცელეს, რომ კომპანიამ გვითხრა, მთა გადაიტანეთო! არ უთქვამს ეს კომპანიას, ან მთის გადატანა ვის გაუგია, როცა საყდრისი ისედაც ინგრევა და იშლება? ერთი კვირის წინ ორივე მხარე ერთად ვიყავით შეხვედრაზე ახალ პრემიერთან, ღარიბაშვილი, ეტყობა (ეცინება), ოხერია, ჰოდა, დავით ლორთქიფანიძის მოადგილე იყო შეხვედრაზე, მახარაძე და იმას ჰკითხა, კი, ბატონო, გაგიკეთებთ მუზეუმს, მაგრამ რა არტეფაქტი გაქვთ საყდრისში ისეთი, უცხოელი რომ ჩამოვიდეს და ვაჩვენოთო? და რა არის ეს არტეფაქტები, იცით? ლამბაშიძის ექსპედიცია რომ ამბობდა, იქ 12 000 ეუროა ნანახიო, კატეგორიული ტყუილია, იქ რამდენიმე ეუროა და დანარჩენი უბრალო რიყის ქვებია და ოთხი ნატეხი თიხის. თან, ვიმეორებ, ამ ქვებზე არც ერთზე არ არის ოქროს არანაირი კვალი, ხოლო სხვა მტკიცებულება არაფერი არ არსებობს. პრემიერს იმ მახარაძემ უპასუხა, კლდეები არის ჩვენი ძეგლიო. მერე მითხრეს, თურმე ამ მომენტში დავით ლორთქიფანიძე თავის მოადგილეს ქაჩავდა, სისულელეებს ნუ ლაპარაკობო. გავიდა ცოტა დრო და ღარიბაშვილი კიდევ უმეორებს მახარაძეს, წეღან გკითხეთ და პასუხი ვერ მოვისმინე და რა ნივთებს დადებთ საყდრისის მუზეუმშიო. პასუხია, ისევ კლდეებიო. ცოტა ხანი რომ გავიდა, არ მოეშვა და მესამედ იკითხა ღარიბაშვილმა და კიდევ იგივე პასუხი რომ მოისმინა, გადაიხარხარა. ნანახი ხომ გაქვთ ეს მთა? კაცს ვერ შეუშვებ სანახავად, ისეთი ვიწრო ჩასასვლელია და კითხვა ჩნდება, მანდ რომ მუშაობდა ის ჩვენი წინაპარი, იმ სიღრმეზე ცეცხლს რომ ანთებდა, სად არის ნახშირის კვალი? დამწვარი ნახშირი ხომ უნდა იყოს ადგილზე? 5400 წლის წინათ როგორ აგნებდნენ ამ ოქროს ადამიანები, როცა მადანში ოქროს შემცველობის ნახვა თვალით შეუძლებელია? ან იმ რიყის ქვით როგორ ანგრევდნენ კვარცს, როცა კვარცი უფრო მაგარია ამ ქვაზე? უფრო დიდი სისულელე თქვეს შეხვედრებზე: იმდენად ვიწროა ის თხრილი, ზოგან კაცი ვერ ეტევა და ამიტომ 4-5 წლის ბავშვებს ამუშავებდნენ ოქროს მოპოვებაზეო. ეგეთი რამე გაგიგიათ? 4-5 წლის ბავშვებსო, კაცოო (ეცინება)? სხვათა შორის, ღარიბაშვილთან შეხვედრაზე ითქვა, მთა გადავიტანოთო და როგორ უნდა გადაიტანონ მთა? დახერხონ? იშლება! აი, ამაზე ააგდეს ხალხი და ჩვენი საზოგადოებაც ამას აჰყვა.

**— საზოგადოებას მათ ძალიან სწორად მიაწოდეს ამბავი, რომ არიქა, ასეთი ძეგლია და ვუშველოთ ამ ძეგლსო.**

– და ეგ დანაშაულია! რაც შეეხება კვესიტაძის ანგარიშს, ის პირველი წერილი მან დაწერა მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებთან შეთანხმებით, სამ დეკემბერს გაგზავნილ წერილს ვგულისხმობ. მერე მასთან მივიდნენ სხვა ადამიანები, მათ ამ შემთხვევაში არ დავასახელებ, თორემ ვიცი, ვინც გიორგი კვესიტაძე მათი გავლენის ქვეშ მოაქცია და თავისი ემოცია მისწერა ოდიშარიას მეორე წერილში. კულტურის მინისტრმა კი სულაც კვესიტაძეს შეაწმინდა საბოლოოდ ხელი. კვესიტაძეს, რა თქმა უნდა, შეეშალა და არ უნდა დაეწერა თავისივე პირველი დასკვნის გამაბათილებელი მეორე დასკვნა, ეს არ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ღარიბაშვილმა სწორედ კვესიტაძის ამ წერილებიდან დაიწყო შეხვედრისას ლაპარაკი. ავდექი და ვთქვი: ბატონო პრემიერო, გიორგი კვესიტაძე არ არის პროფესიონალი, რადგანაც განათლებით ბიოლოგია, ამ დარგის სპეციალისტი მე ვარ და მე ვილაპარაკებ-მეთქი და ვთქვი, რასაც ვფიქრობდი.

**— აქ ფულზეა, ბაბა, ლაპარაკი?**

– ფულზე. ტყუილად არ იკლავს ის მეორე მხარე თავს.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია „RMG gold“-ის პოზიცია?**

– ამ კომპანიამ, რასაც ვუყურებ, კიდევ დიდხანს შეიკავა თავი და დიდხანს ითმინა. ეგ მიწა კომპანიას ნაყიდი აქვს ობიექტის გარეშე და მათ სრული უფლება აქვთ მუშაობის დაწყების. ვიმეორებ, მათ კიდევ დიდხანს გაუწიეს ანგარიში საქართველოს. კომპანია სთავაზობს სახელმწიფოს უამრავი ტაძრის აღდგენას, არქეოლოგიის განვითარებისთვის მილიონს რიცხავენ ბიუჯეტში და ეროვნული სული რომ არ ჰქონდეთ, ამას გააკეთებდნენ? და ეგ მიზანდარი ვინ არის? ყველაფრის თავი და თავი ეგაა. უმაგისოდ, ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა, დარწმუნებული ვარ, რადგანაც ყველაფერი ისედაც ნათელია.

**ყველაფერი, ნამდვილად, ისედაც ნათელია და რატომ ხდება ფაქტების ხელოვნური დაბურვა? ეს უკვე მეცნიერებსაც ვერ გაურკვევიათ.**

## იუსტიციის სამინისტრო ადამიანის პირად ცხოვრებაში არ ერევაო

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო არის



ერთ-ერთი უწყება, რომელიც ყველაზე მეტ ინფორმაციას ინახავს პირადი მონაცემების დაცვის კუთხით, მაგრამ ეს არის ის უწყება, რომელიც არც ერთ ასეთ მონაცემს უკანონოდ არ ინახავს.

„ამისთვის მე მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი უწყების ყველა იმ თანამშრომელს, რომელსაც ყოველდღიურად მართლაც ამგვარ მონაცემებთან აქვს შეხება და მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას კანონი და იცავს ამ კანონს“. – განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო დღეს საქართველო ხვდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორით, რომელიც ნელ-ნელა ძალას იკრებს, ყალიბდება ინსტიტუტად, „თუმცა, ამ მხრივ, ძალიან ბევრი რამ რჩება შესასრულებელი“.

„ჩვენ ამ დღეს ასევე ვხვდებით იმ შეგნებით, რომელიც, ალბათ, წლების მანძილზე არ იყო, რომ პერსონალური მონაცემები და შესაბამისად, ინდივიდის უფლებების დაცვა არის აუცილებელი. თვითონ ეს შეგნება რომ ნელ-ნელა ფეხს იკიდებს საზოგადოებაში, არის უმნიშვნელოვანესი, რადგან საზოგადოებას შეუძლია ამ შეგნების წყალობით პასუხი მოსთხოვოს სახელმწიფოს ან კერძო სექტორს, რომელიც გაუმართლებლად ჩაყოფს ცხვირს იქ, სადაც მისი ადგილი არ არის“, – აღნიშნა წულუკიანმა. (ინტერპრესნიუსი)

# „ოდეერები“, ანუ სპეცსამსახურის წარმომადგენლები ხელფასს უკანონოდ იღებენ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია.

ორგანიზაცია ადრეც წერდა, რომ მარეგულირებელ კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი წარმომადგენელი იმყოფება, რომელსაც მეტსახელად „გენერალს“ ეძახიან და რომელიც კომისიის თანამშრომლებსა და მათ საქმიანობაზე ინფორმაციას აგროვებს. ორგანიზაციის წარმომადგენელი იქვე დასძენდა, რომ ეს არის მაუწყებლობის შესახებ კანონის (მუხლი 6) უხეში დარღვევა. კანონი კრძალავს მარეგულირებლის საქმიანობაში ნებისმიერ ჩარევას.

მარეგულირებლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა კომისიის წევრებისთვის ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა უნდა იყოს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განაცხადა, რომ ზაზა მაზმიშვილი, რომელიც კომისიის ვებგვერდზე უწყების თანამშრომლების სიაშია მოხსენიებული, 1963 წლის 30 ივნისს დაიბადა. ეს ადასტურებს, რომ მაზმიშვილი იგივე პიროვნებაა, რომელმაც გასულ წელს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეავსო. დეკლარაციაში მითითებულია, რომ მაზმიშვილი შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს, უშიშროების საკითხებში სამმართველოს უფროსია და რომ ის 1963 წლის 30 ივნისს არის დაბადებული. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარსულში არ დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა, მოეწოდებინათ მაზმიშვილის „სივი“, იმ არგუმენტით, რომ ის არ წარმოადგენს თანამდებობის პირს და, რომ მან პირადად უარი განაცხადა აღნიშნული დოკუმენტის გაცემაზე.



ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თავის დროზე, უარყო ის ფაქტი, რომ მათი წარმომადგენლები მუდმივად იმყოფებიან საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბრალდებებს „არასერიოზული“ უწოდა. ეს კი იმის ფონზე მოხდა, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ დაადასტურა ე.წ. „ოდეერების“ პრაქტიკის არსებობა და მას პრობლემური უწოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ასევე მოიპოვა 2002 წლის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ვინმე ზაზა მაზმიშვილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსი იყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დასკვნის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საკუთარი წარმომადგენლების, ე.წ. „ოდეერების“ სახელმწიფო ინსტიტუტებში ყოლის პრაქტიკა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დროინდელ გადმონაშთს, რომელსაც იყენებდა როგორც შევარდნაძის, ასევე „ვარდების რევოლუციისა“ და 2012 წლის ოქტომბრის შემდგომი ხელისუფლება. ორგანიზაციამ მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოიწვიოს სამინისტროს წარმომადგენლები სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან და პატივი სცეს ისეთი ინსტიტუტების დამოუკიდებლობას, როგორიც კომუნიკაციების ეროვნული კომისიაა, რომელთა ხელშეუხებლობაც კანონითაა დაცული. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიჩინოს ნება და ბოლო მოუღოს საბჭოთადროინდელ „ოდეერების“ პრაქტიკას.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზაზა მაზმიშვილი ნამდვილად მუშაობს მის სტრუქტურაში.

„ვადასტურებთ იმ ინფორმაციას, რომ ზაზა მაზმიშვილი მუშაობს კომისიის თავმჯდომარის მრჩევლის პოზიციაზე, ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ნიშნით დაინიშნა ის ამ თანამდებობაზე, მე არ ვფლობ. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობას, კომისია ამის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს“, - განაცხადა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია ყურაშვილმა.

„ალიამ“ ინფორმაციის გადამოწმება შსს-ში სცადა, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისგან, ხანგრძლივი ლოდინის მიუხედავად, პასუხი ვერ მივიღეთ.

„ოდეერების“ არსებობა სიახლე ნამდვილად არ არის, მაგრამ საინტერესოა, რამდენად კანონიერია ერთი და იგივე პიროვნების ორ სხვადასხვა საჯარო სამსახურში მუშაობა და ორივეგან ბიუჯეტიდან ხელფასის აღება? რა წერია კანონში?

**ამის გასარკვევად „ალია“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრს, თამაზ ავდალიანს დაუკავშირდა:**

– არ აქვს უფლება პირს, იმუშაოს ორ სახელმწიფო უწყებაში და მიიღოს ორი ხელფასი. ერთ-ერთი თანამდებობა აუცილებლად უნდა დატოვოს. დარღვევაა მეორე უწყების მხრიდან, რომელმაც იცოდა, სად მუშაობდა ეს პირი და მაინც მიიღო სამსახურში.

**— კი, მაგრამ ამდენი ხანი ადამიანი ხელფასს იღებდა და უნდა შერჩეს?**

– თანამდებობის დატოვების შემდეგ უწყება გადაწყვეტს, დააბრუნებინებს თუ არა მას ხელფასს, რომელსაც აქამდე იღებდა. თუ გამოეკიდა ის ორგანო, რომელმაც დაასაქმა მეორედ, თუ მოითხოვს, ამ პირმა უნდა დააბრუნოს. სამსახურიდან კი აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს და ერთ-ერთ უწყებაში დარჩეს“.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

## შსს-ს დელეგაცია ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვახტანგ გომელაურის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დელეგაციამ აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების



სამინისტროში, მინისტრის პირველ მოადგილესთან გენერალ-ლეიტენანტ რაფაილ მირზოევთან და მინისტრის მოადგილესთან ფაიკ ტაგი-ზადესთან შეხვედრები გამართა. მხარეებმა შეხვედრაზე უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით სამომავლო ღონისძიებები და გეგმები დასახეს. სამინისტროს წარმომადგენლებმა მოინახულეს სამოქალაქო თავდაცვის ძალების სამეთაურო შტაბი და სამინისტროს განსაკუთრებული რისკის სამაშველო სამსახური.

ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ასევე ეწვია სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ნაწილს და ადგილზე გაეცნო სამსახურის საქმიანობის პრინციპებს, დაათვალიერა სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა. აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს მთავრობებს შორის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილებისა და შერბილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას გასული წლის 1-ელ აგვისტოს მოეწერა ხელი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფშავ-ხევსურეთს კანონი დაიცავს



ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისმა მოამზადა. პარლამენტში პროექტის ინიციატორები დეპუტატები: გიორგი ცაგარეიშვილი, ერეკლე ტრიპოლსკი და ზურაბ ზვიადაური არიან.

პროექტის მიხედვით, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ძირითადი კატეგორიებია: პირიქითა ხევსურეთის ეროვნული პარკი, როშკის ბუნების ძეგლი, ასას აღკვეთილი და ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა). ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს მდინარეების: ასას, არღუნის, ანდაგისწყალის, ხევსურეთის არაგვისა და ფშავის არაგვის ხეობებს.

პროექტის განხილვას პარლამენტი თებერვლიდან დაიწყებს. (ინტერპრესნიუსი)

## საკრებულო 11 მარტს დაიშვება?



თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, კახა კუკავას განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ თბილისის ბიუჯეტის ჩაგდებასთან დაკავშირებით გეგმა შეიმუშავა. კუკავას თქმით, თუ ბიუჯეტი 11 მარტამდე არ იქნება დამტკიცებული, ცენტრალურ მთავრობას საშუალება ექნება, თბილისის საკრებულო დაითხოვოს და მერის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს. დეპუტატის ინფორმაციით, ამ პოსტზე ხელისუფლება საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარის, ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას განიხილავს. როგორც კუკავა აცხადებს, ამ ქმედებით დედაქალაქში „ქართული ოცნების“ ერთპარტიული მმართველობა დამკვიდრდება.

კუკავა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – ახალი თბილისის“ თავმჯდომარის საკრებულოდან წასვლასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, იმისთვის, რომ საკრებულოში რაიმე გადაწყვეტილება ადვილად იყოს მიღებული, აუცილებელია კვორუმის შემცირება. ამიტომ უმცირესობის წევრებს აიძულებენ, განცხადება დაწერონ და საკრებულო დაატოვებინონ. კუკავას განცხადებით, სწორედ ასეთი მეთოდით განხორციელდა საკრებულოდან ხვიჩა სანაიას წასვლაც.

კუკავა მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს გამოიძიონ სანაიას საქმე, საკრებულოს უმრავლესობის წევრებს კი სთხოვს, არ დააკმაყოფილონ მისი განცხადება, სანამ სანაია პირადად არ დაადასტურებს, რომ მან საკუთარი ნებით დატოვა საკანონმდებლო ორგანო. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# როგორ და რაზე დაითანხმა თბილისის საკრებულომ მერია



**თბილისის საკრებულოს დეპუტატები აცხადებენ, რომ ბიუჯეტის პროექტში მერიამ მათი შენიშვნები არ გაითვალისწინა. რის გამოც ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიების თავმჯდომარეებმა, კახა კუკავამ და მამუკა კაციტაძემ მერიას შენიშვნები ცალკე გადაუგზავნეს.**

**თუ რა შენიშვნებზეა საუბარი და რა არ გაითვალისწინა მერიამ, ამის გასარკვევად „ალია“ მამუკა კაციტაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო მამუკა, რა სახის შენიშვნები გადაუგზავნეთ მერიას?**

– 22 იანვარს, როცა ხელმეორედ შემოვიდა ბიუჯეტი საკრებულოში, თუ არ ჩავთვლით რაღაც მცირედსა და ელემენტარულს, აღმოჩნდა, რომ მერიას არაფერი შეუცვლია. აქედან გამომდინარე, მე და კახა კუკავამ დამოუკიდებლად მივწერეთ მერიას წერილი და მოვთხოვეთ, რამდენიმე გაუგებარ და პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით მეტი სიმკვეთრე შეეტანა. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ბიუჯეტის მეტ გამჭვირვალობას.

**— რას გულისხმობთ?**

– იყო ცალკეული მუხლები, რომელიც მოითხოვდა მეტ დაშიფვრას. მაგალითად, წინა ბიუჯეტიდან 55 მილიონის გაწერა და ე.წ. სხვა ხარჯების გაწერა კლასიფიკატორებში. რა იგულისხმება „სხვა ხარჯებში“, ეს უნდა ყოფილიყო ცხადი. მეორე მხრივ, გვინდოდა, გაეთვალისწინებინათ მათ ე.წ. პრიორიტეტები, რომელიც დაფინანსდებოდა. აქ საუბარი იყო კონკრეტულ მუხლებზე, საუბარი იყო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ, განსაკუთრებულად გაჭირვებული უსახლკარო ადამიანებისთვის თავშესაფრებისა და საცხოვრისების მშენებლობა-კეთილმოწყობაზე დამატებითი თანხების ჩადებაზე. ასევე, საუბარი იყო ეკონომიკური ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალური საწარმოების ამუშავების პროგრამაზე, რომელიც ადრე ჰქონდა მერიას და ახლა საერთოდ ამოაგდო.

იყო დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები. იმ ნაწილში, სადაც არ ხორციელდება საყოველთაო დაზღვევა, უნდა გაჩენილიყო დამატებითი თანხები. კიდევ იყო ჩანაცვლებითი თერაპიის ნაწილში თანხების ზრდასთან დაკავშირებით და ა.შ. მოკლედ, იყო 13-14 პუნქტი, რომელიც დევს ჩვენს მიერ შედგენილ დოკუმენტში.

**— მერიისთვის რა იყო პრიორიტეტი, რა ეწერათ ბიუჯეტის პროექტში?**

– 9 პრიორიტეტი წარმოადგინა მერიამ. ზოგადი პრიორიტეტი იყო სოციალური, იგივე ოპერაციების თანადაფინანსება, გაჭირვებულების დახმარება და ა.შ. განსაკუთრებულად გაჭირვებულებზე ჰქონდათ სულ ბიუჯეტის 0.7%, რაც სასაცილო იყო. აი, მაშინ ვთქვი, რომ 300 000-ით აფინანსებდნენ საცხოვრისებს და 500 000-ით ანძის განათებას. ეს არის ხალხის დაცინვა. მერიისთვის ასევე პრიორიტეტულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, ავტოპარკის განახლება, ავარიული სახლების გამაგრება, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშეწყობა და მუნიციპალური საწარმოები. 787-მილიონიან ბიუჯეტში 0.7%-ს რომ გაიმეტებ მხოლოდ დასაქმებისთვის და იაფი კრედიტისთვის, ესე იგი, ეს შენთვის პრიორიტეტი არაა.

**— ბოლოს და ბოლოს, შიხიაშვილი და სევდია უგრეხელიძე არ შეხვდნენ ამ თემებზე? ვერ შეთანხმდნენ ვერაფერზე?**

– არ ვიცი, მათ რაზე ისაუბრეს, ეს შეხვედრა იყო ფრაქციების თავმჯდომარეებთან. ჩვენი შენიშვნები, რომელიც 22 იანვარს გადავაგზავნეთ, მხოლოდ დღეს იქნა პასუხგაცემული. მოვიდა მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი.

**— რა პასუხები მოიტანა პეტრიაშვილმა?**

– პირველ რიგში, გადააყენეს გამგებლები, რადგან თურმე ბიუჯეტს მათ ვერ ანდობენ. ის, რომ გამგებლები უნდა გადადგნენ და მთელი თბილისის მთავრობა უნდა გადადგეს, ზოგმა დაინახა ახლა, როცა „ოცნების“ სიომ დაბერა და მე ამას ვსაუბრობ წლების განმავლობაში. უბედურება ისაა, რომ საკრებულოს უფლებამოსილებებში არ შედის მერიის დათხოვნა. ამას ვეუბნებოდი საკრებულოს, მივმართოთ პარლამენტს კანონში ცვლილებებისთვის-მეთქი, მაგრამ პარლამენტმა უკან მოგვიბრუნა ეს ინიციატივა. ახლა როცა ითხოვ გამგებლების გადაყენებას, ეს არის წმინდა პოლიტიკური მოთხოვნა და არანაირად სამართლებრივი. პეტრიაშვილმა ზოგიერთ შენიშვნაზე გვითხრა, უკვე გაკეთებულიაო.

**— მაგალითად?**

– ჩვენი მოთხოვნა იყო სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმება, რომელიც, ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობის“ დასაქმების ბუდედ იქცა. გვითხრა, მოგართმევთ მერიის განკარგულებას სხდომაზეო. თანხმობა გვითხრა ჩანაცვლებით თერაპიასთან დაკავშირებით და ჯერ ღიად დავტოვეთ რეპრივატიზაციის თემა. საქმე ეხება იმ პოლიკლინიკებსა და ბიბლიოთეკებს, რომელთა პრივატიზაციაც მოხდა, თავი ვერ გაართვა მოვალეობებს კონკრეტულმა მყიდველმა, მერიას უნდა შეეძლოს ასეთი ობიექტების უკან დაბრუნება და მისი რეაბილიტაციისთვის ზრუნვა. ამაზე პასუხი არ ჰქონდა, ისევე, როგორც ძველი თბილისის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გვაქვს კითხვები.



ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## ალასანია სამინისტროს რეფორმების ექსპორტზე გატანას აპირებს?



თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უკვე აქვს შესაძლებლობა, ექსპორტზე გაიტანოს რეფორმები.

„გამჭვირვალობისა და სისტემის გახსნის კუთხით ჩაითვალა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უკვე აქვს შესაძლებლობა, ექსპორტზე გაიტანოს რეფორმები, ჩვენ მივიღეთ სპეციალური წერილი ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის მხრიდან და ვაპირებთ უახლოეს მომავალში უკვე დავიწყოთ სემინარების ჩატარება იმ პარტნიორი ქვეყნებისთვის, რომელსაც სჭირდება ასეთი დახმარება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის რეფორმები, რომელიც ერთი წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა, მზად არის, რომ გავუზიაროთ, ვისაც აკლია ეს გამოცდილება“, – განაცხადა ალასანიამ.

ნატო-ს გენერალური მდივნის ყოველწლიურ ანგარიში აღნიშნულია, რომ გასულ წელს ნატო-მ განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები შეინარჩუნა ოთხ პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებიც ნატო-სკენ მიისწრაფვიან – საქართველოსთან, ბოსნია და ჰერცოგოვინასთან, მონტენეგროსთან და მაკედონიასთან. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სესხსა და იპოთეკაზე ახალი ნორმები ამოქმედდა



პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომელიც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ახალ მარეგულირებელ ნორმებს აწესებს, ამოქმედდა. კანონში განხორციელებული ცვლილებებით სავალდებულო ხდება სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე – საკრედიტო კავშირებზე და კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტებზე. ნოტარიუსს ეკისრება ვალდებულება, განუმარტოს ხელშეკრულების მხარეებს (განსაკუთრებით, მოვალეს) ის სამართლებრივი შედეგები, რაც მათი მხრიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას მოჰყვება.

იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულების მიმართ დგინდება ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ოდენობა: იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებისთვის, გარდა 1000 ლარამდე (ან მისი ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში) გაცემული სესხებისა, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით (გარდა იპოთეკის სანოტარო წესით დამოწმებასა და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა), არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის არითმეტიკული საშუალოს 2.5-მაგი ოდენობის მეთორმეტედს და ის მოქმედებს ყოველი წლის 1-ლი მარტიდან (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე – საკრედიტო კავშირებზე და კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტებზე).

რაც შეეხება იძულებითი აუქციონის წესით ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, იძულებითი აუქციონის გზით ქონების რეალიზაციისას შესაძლებელი გახდება პირველი და ორი განმეორებითი აუქციონის ჩატარება. ეს ინიციატორთა შეფასებით, აუქციონზე გატანილი ქონების საწყისი ფასის ვარდნის პროცესს შეანელებს და შექმნის მის რეალურ საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებული ღირებულებით რეალიზაციის მეტ შესაძლებლობას. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## სტუდენტები მიწის ნაკვეთის გასხვისებას აპროტესტებენ

„თავისუფალმა სტუდენტთა კავშირმა“ უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისება გააპროტესტეს. ნიკოლოზ მეტრეველის თქმით, ინვესტორი კომპანია, გასხვისებულ ტერიტორიაზე უნივერსიტეტის პროფილისთვის შეუფერებელ საქმიანობას აპირებს. როგორც მეტრეველისთვის არის ცნობილი, ამ ტერიტორიაზე სასაფლაოს მოწყობა იგეგმება, ინვესტორი კომპანია კი სტუდენტებისთვის უცნობია. უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ 24 იანვარს, უნივერსიტეტის რექტორმა, ვლადიმერ პაპავამ თბილისის მერიასა და საკრებულოს მიმართა, ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე არ განხორციელდეს უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი საქმიანობა.

სტუდენტების თქმით, დედაქალაქისა და მისი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნივერსიტეტის ათასამდე სტუდენტმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით 500 ძირი ნერგი დარგო, თბილისის მერიის ამ გადაწყვეტილებით კი ნარგავები განადგურდება.

„კატეგორიულად მოვითხოვთ თბილისის მერიისგან, საკრებულოსგან და ინვესტორი კომპანიისგან გაითვალისწინონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სტუდენტების ინტერესი და არავითარ შემთხვევაში არ განხორციელდეს უნივერსიტეტისა და დედაქალაქისათვის მიუღებელი საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ერთად მივმართოთ პროტესტის ყველა მწვავე ფორმას“, – აცხადებენ სტუდენტები. (ინტერპრესნიუსი)

# მანქანების ტექდათვალიერება ქართულ კომპანიებსაც შეეძლებათ



„ალია“ წინა ნომერში წერდა, რომ, მთავრობის გადაწყვეტილებით, 2015 წლის მარტიდან ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერებას უცხოური კომპანია ჩაატარებს. ველოდებოდით, რომ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს მაინც, ხელისუფლება განმარტებას გააკეთებდა, რატომ არ გამოცხადდა ტენდერი, რათა ადგილობრივ კომპანიებს საშუალება მისცემოდათ, განეხორციელებინათ ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება და ადგილობრივი მოქალაქეები დაესაქმებინათ?

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე აცხადებს, რომ საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ე.წ. ტექდათვალიერების საფასურის დადგენისას გათვალისწინებული იქნება ქვეყნის რეალობა და მთავრობა აქცენტს საფასურის ხელმისაწვდომობაზე გააკეთებს. მისი თქმით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, ყველა ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის სტანდარტებთან, ამას კი **TUV Rheiland Group**-ზე კარგად ვერავინ გააკეთებს. არანაირი განმარტება იმის შესახებ, რატომ იჩაგრება ქართული ბიზნესი.

ამ საკითხის გასარკვევად „ალია“ ნათია მიქელაძეს დაუკავშირდა:

**— რატომ არ გამოცხადდა ტენდერი, რათა ქართული კომპანიებიც ყოფილიყვნენ პროცესში ჩართული?**

– ეს საკითხი განხილულია ერთობლიობაში. რაც შეეხება შიდა კომპანიებს, შიდა რესურსი ძალიან რთულია და თვითონაც აღიარებენ ამას. ჩვენი საბჭოს ფარგლებში განხილულ იქნა მოლაპარაკების დაწყება იმ საერთაშორისო ოპერატორებთან, რომელსაც ამ სფეროში სერიოზული გამოცდილება აქვთ. ვესაუბრეთ სხვა უცხოურ კომპანიებსაც, თუმცა სადაც არ უნდა მოიძიოთ ინფორმაცია, **TUV Rheiland Group** არის ნომერ პირველი კომპანია ამ სფეროში. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ კომპანიის სანდოობაზე, მივიღეთ პრევენციული ზომები, რათა არ ყოფილიყო ამ სფეროში კორუფციის საფრთხე. ეს კომპანია არის ყველაზე სანდო რეპუტაციის. ჩვენ საუბარი გვქონდა ადგილობრივ კომპანიებთანაც და მათი ინტერესებიც გათვალისწინებულია. მათთან არაერთი შეხვედრა გვქონდა, აქვთ საკუთარი ასოციაციაც და მათი წარმომადგენლებიც იყვნენ შეხვედრებზე. **TUV Rheiland Group**-ის წარმომადგენლებმაც იციან, რომ მათი შემოსვლით არ უნდა დაიჩაგრონ ადგილობრივი კომპანიები. ამიტომ რეალურად, თუ მათ უნდათ, რომ თანამშრომლობა განახორციელონ ამ უცხოურ კომპანიასთან, კომპანია აძლევს მათ ამის საშუალებას. ეს შეიძლება იყოს მათი ინფრასტრუქტურის გამოყენება, შეიძლება იჯარით აიღონ, შეიძლება მათი თანამშრომლები გადაამზადონ. ვინც შეძლებს, რომ ამ ყველაფერს ფეხი აუწყოს, ჩვენც და კომპანია **TUV Rheiland Group**-ც მზად ვართ.

**— გამოდის, უცხოურმა კომპანიამ უნდა დაიქირაოს ქართული კომპანიები, მათი ინფრასტრუქტურით ისარგებლოს, კადრებითაც ისარგებლოს და ამ დროს მთელი მოგება დარჩება უცხოურ კომპანიას, ანუ ფული უცხოეთში გავა. რატომ არ ხდება შიდა კომპანიების გაძლიერება, ამ რატომ არ იქნა შეთავაზება ადგილობრივი ბაზრის მოთამაშეებისთვის, გაერთიანებულიყვნენ და მომსახურება ერთობლივად გაეწიათ?**

– პირველ ყოვლისა, გეტყვით, რომ თანხა, რომელსაც კომპანია მოგების სახით მიიღებს, ქვეყნიდან არ გავა, რადგან ჩვენ კომპანიას ვეუბნებით, რომ მათ უნდა დააფუძნონ კომპანია საქართველოში და ის გადასახადების გადამხდელი უნდა იყოს. გარდა ამისა, **TUV Rheiland Group** ვალდებული იქნება ადგილობრივები გადაამზადოს და დაასაქმოს. მათი მხრიდან საკონსულტაციო მომსახურებაც იქნება. მათ აქვთ გამოცდილება, როგორ გადადიან ჩვენნაირი ქვეყნები მაღალ ხარისხზე. ისინი ვალდებული იქნებიან, ამ ყველაფერში ჩადონ ინვესტიცია. აქ საუბარია ინვესტიციების შემოდინებაზე, ისინი კომპანიას დააფუძნებენ და გადასახადებსაც აქ გადაიხდიან. ადგილობრივ კომპანიებს ეძლევათ საშუალება, რომ უცხოურ კომპანიასთან ერთად თანამშრომლებიც გადაამზადონ და პრაქტიკული ცოდნის გაზიარებით თვითონაც მომხმარებელს მაღალი ხარისხის მომსახურება შესთავაზონ.



**— კიდევ ერთი საკითხი. რატომღაც გასაიდუმლოებულია დოკუმენტი, რომელსაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მოეწერა ხელი, ხომ არ არის მოსალოდნელი, ეკონომიკის სამინისტრომ გაასაჯაროოს ამ დოკუმენტის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობს?**

– ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს და ჩვენც ველოდებით გასაჯაროებას. როგორც ვიცი, ახლა თარგმნიან ამ ტექსტს და შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოხდება ამის გასაჯაროება.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხაიშში „ხუდონჰესის“ სამუშაოებს არ აწყებინებენ



მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში „ტრანსელექტრიკის“ ოფისთან ადგილობრივები შეიკრიბნენ. მათი განცხადებით, „ხუდონჰესის“ მშენებლობის დასაწყებად აზომვითი სამუშაოები უნდა დაიწყოს. თუმცა, ხაიშელები აცხადებენ, რომ ისინი მშენებლობის უფლებას არავის მისცემენ და კატეგორიულად მოითხოვენ ხელისუფლებისგან დათმობებზე წასვლას. ხაიშელები საქართველოს მოსახლეობას მიმართავენ და მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. ხაიშელების განცხადებით, ხაიშში „ხუდონჰესის“ მშენებლობა მთელი სვანეთის დატბორვას ნიშნავს. (ინტერპრესნიუსი)

## ომბუდსმენი პატიმრობის კოდექსის ცვლილებების პროექტს ეხმიანება




სახალხო დამცველი „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტს ეხმიანება.

„საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული კანონპროექტის სულისკვეთებას, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსის ლიბერალიზაციას თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასარგებლოდ. თუმცა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ კანონპროექტის ზოგიერთი დებულება მნიშვნელოვან გადახედვას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით ეხება კანონპროექტით გათვალისწინებულ სპეციალურ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრალდებულის/მსჯავრდადებულის მიმართ, ასევე, ამ საშუალებების გამოყენების წესს. ასეთ საშუალებებს შორისაა დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, ცრემლსადენი და წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერით მოწყობილობა, წყალსატყორცნი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სპეციალური საშუალების გამოყენება აპრობირებულია სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მათი გამოყენებისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პირობების დაცვაა აუცილებელი.

ცრემლსადენი და წიწაკის გაზის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მწვავე რესპირატორული პრობლემები. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის) მიერ დადგენილი სტანდარტებით, დაუშვებელია წიწაკის გაზის ან ცრემლსადენი გაზის დახურულ სივრცეში გამოყენება. ასევე, დაუშვებელია მათი გამოყენება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც უკვე იმყოფებიან ხელისუფლების წარმომადგენელთა კონტროლქვეშ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ექსკლუზივი





# რა მოხდა 3 დღის წინ პარიზში

## ოქრუაშვილი მიხეილ ქარელს ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრა?

ირაკლი ოქრუაშვილიღა აკლდა ქართულ პოლიტიკას და აი, ისიც, ჩვეული სკანდალებითა და მუქარის რიტორიკით... ოქრუაშვილს მისი თანამებრძოლი და გუნდის წევრი უპირისპირდება. მიხეილ ქარელი სკანდალური მუქარის წერილს აქვეყნებს გამოცემა „კვირაში“, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილმა მას საფრანგეთში მისწერა. წერილის მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს ოქრუაშვილი ოჯახის ამოწყვეტითა და სახლის გადაწვით ემუქრება. გამოცემასთან საუბრისას ქარელი ადასტურებს, რომ ოქრუაშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს: „ირაკლი პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს, ამიტომ მას ეშინია ადამიანების, რომლებიც მისი ბინძური საქმიანობის შესახებ ბევრ ინფორმაციას ფლობენ. ძალიან ბევრი რამ მაქვს სათქმელი ოქრუაშვილის „საქმიანობასთან“ დაკავშირებით, როგორც წარსულში, ისე აწმყოში, რისიც ოქრუაშვილს ყველაზე მეტად ეშინოდა, რაც ამ მუქარიდანაც კარგად ჩანს. ამის დროც მალე მოვა“ (?!). რადგან მიხეილ ქარელმა ხმა ამოიღო, ეს უკვე ნიშნავს, რომ ოქრუაშვილის მრისხანების სერიალი დაიწყება, უკვე ნანახი ფილმიდან: ძრწოდეთ და გეშინოდეთ, ოქრუაშვილი პოლიტიკაში „ჰაუბიცებით“ ბრუნდება. ადგილობრივ არჩევნებზე, როგორც ჩანს, ბევრი სიურპრიზის მომსწრენი გავხდებით.

საინტერესო ფაქტი, თუ გაყალბებული რეალობა? რა მისწერა ოქრუაშვილმა ქარელს? „ესემესი“ იგზავნება ქარელის მობილურზე, რომელიც ყოფილმა რწმუნებულმა გამოცემა „კვირას“ გაანდო, მისი შინაარსი ასეთია:

„კარგად წაიკითხე და დაფიქრდი, რასაც გწერთ. 1. თუ როდესმე იკაზე ხმას ამოიღებ ან გაზეთით ან ტელევიზიით, შენს ოჯახს მთლიანად გავანადგურებთ. 2. თბილისის ოფისის წილები შენ და კეკელიშვილმა გადმოაფორმეთ შენივე დაქალ თეოზე. თუ სამ დღეში დადებითად არ გადაწყვეტთ, რასაც გწერთ, შენს სახლ-კარს ცეცხლს მივცემთ დედაშენ-მამაშენიანად, დანარჩენს გასვენებაში, რომ ჩამოხვალ, აქ აგიხსნით. კარგად დაფიქრდი და 31 იანვრამდე დააბრუნე პასუხი თეოს მეშვეობით. არ გემუქრებით, რეალობას გიხსნით. მაგასაც ხომ დავუწვით სახლი, ჰოდა, ნუ აჰყვები იმ „ვოლკს“, თორემ 1-ში ცეცხლით გაგათბობთ თუ არასწორად იფიქრებ, არც მანდ არაა შენი პოვნა ძნელი“... არის თუ არა ამ გზავნილის ავტორი რეალურად ოქრუაშვილი, ამას პროკურატურა დაადგენს. ქარელი პროკურატურას მიმართავს, ამ საქმის გამოძიების თხოვნით.

„ალია“ შეეცადა, დაედგინა, რატომ დაიძაბა ურთიერთობა ოქრუაშვილსა და ქარელს შორის, ის ხომ „ოქროს“ მოჰიკანი იყო და მის გამო იქცა „ნაცების“ რეჟიმის დროს დევნილად. ამ საკითხზე „ალია“ საფრანგეთში მოღვაწე ჟურნალისტს, გიორგი ფოფხაძეს ესაუბრა, რომელიც იხსენებს, საიდან დაიწყო მათი დაპირისპირება: „ეს ამბავი სამი დღის წინ მოხდა, ვისხედით ირაკლის სახლის ეზოში საფრანგეთში, სუფრა იყო გაშლილი, ელემენტარული შელაპარაკება მოხდა საქართველოში წასვლასთან დაკავშირებით. ქარელი გაიბუტა, ადგა სუფრიდან და გაიქცა, ამის შემდეგ უამრავი „ესემესი“ გავუგზავნეთ, ვეკითხებოდით, რატომ გაგვებუტა, რა ეწყინა, აეხსნა. მიშა ქარელმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს „ესემესი“ არ არის ოქრუაშვილის მიერ მიწერილი, ესაა პროვოკაცია და მეტი არაფერი, მე არ ვიცი, მიხეილ ქარელი ვის თამაშს თამაშობს და რაში დასჭირდა მსგავსი ტყუილი. აშკარაა, რომ ვიღაცას ძალიან ეშინია ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების. ამ შტერ ბიჭს, ქარელს კი ვიღაც ცუდად იყენებს, მიშამ კარგად იცის, რომ ეს არ არის ირაკლის სტილი. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვერ იპოვიდა ოქრუაშვილი პარიზში მიხეილ ქარელს და პირადად ვერ ეტყოდა სათქმელს?! ოქრუაშვილს საფრანგეთში თავისუფალი მიმოსვლა აქვს, არ მისწერდა, მით უმეტეს ამ სახის გზავნილს არ გააკეთებდა... პოლიტიკური ფრონტის ხაზი გაუხსნეს ოქრუაშვილს და ქარელის ხელით ცდილობენ მის ჩაძირვას“.

ქარელის განმარტებით, ოქრუაშვილი მას სთხოვს ათონელის №27-ში ოფისის წილის დათმობას. ოფისი ოქრუაშვილის პარტიისთვის, „ერთიანი საქართველოსთვის“, 11-მა პირმა შეიძინა, რომელიც მათ სააკაშვილის რეჟიმმა უკანონოდ ჩამოართვა. თუმცა 2013 წლის 12 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, მფლობელებს ქონება დაუბრუნდათ, რის შემდეგაც, ქარელის განცხადებით, ოქრუაშვილმა ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, შენობის 11 მეწილეზე ზეწოლა დაიწყო, რადგან თანამესაკუთრეების თითქმის ნახევარი უარს აცხადებს, ფართი ოქრუაშვილის სასარგებლოდ დათმოს. ქარელი, მეწილეებთან ერთად, სასამართლოში ჩივილს აპირებს. ის ფრანგ სამართალდამცველებსაც მიმართავს და ასევე, საქართველოს პროკურატურას, გამოიძიონ ეს საქმე და თუკი მისი ოჯახის წევრს თმის ღერი ჩამოუვარდება, პასუხისმგებლობა ოქრუაშვილს დაეკისროს. შეტყობინება რუსული ნომრით არის გაგზავნილი: +7 925 230 04 73 – აღნიშნულია მიხეილ ქარელის განცხადებაში.

ეს ის შემთხვევაა, როცა ირაკლი ოქრუაშვილს არ შეუძლია, წარმოთქვას იულიუს კეისრის ბოლო სიტყვა: „შენც ბრუტუს?!“ ციტატა ფართოდ გამოიყენება დასავლურ კულტურაში, როგორც მეგობრის ღალატის ეპითეტი. ოქრუაშვილი მისი გარემოცვისთვის თავად იყო „ბრუტუსი“, რამაც მისი ნდობის მანდატი საზოგადოების თვალში გაანულა და ის ვერ იქცა ხალხის მხსნელად, რაც მის საქციელს გააბათილებდა, ვერც „მიშას ჩახედა თვალებში“ და ვერც პოლიტიკური წესი აუგო, ამიტომაც არის, რომ მის სახელს ქვების სროლით ხვდებიან და თუკი დამტკიცდა, რომ მიხეილ ქარელი სიმართლეს ამბობს და „ესემესი“ ოქრუაშვილის მიწერილია, არ არის გამორიცხული, ოქრუაშვილი კვლავ სამართლებრივი ინტერესის სუბიექტი გახდეს!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მანდატურის სამსახური არ უქმდება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მანდატურის სამსახური უქმდება. სამინისტროს ცნობით, მანდატურის სამსახურის რეფორმა წარმატებით განხორციელდა პილოტური პროექტის ფარგლებში. სამსახურს დაემატა ფსიქოლოგიური ცენტრებისა და კარიერის დაგეგმვის ფუნქციები. შესაბამისად, სამსახური სკოლას გაუწევს კომპლექსურ მომსახურებას.

„რეფორმიდან გამომდინარე, მომზადდა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომელიც მოიწონა მთავრობამ და შესაბამისად, კანონპროექტი შევიდა პარლამენტში განსახილველად. რაც შეეხება მიმდინარე ცვლილებას, რომლის მიხედვითაც 2014 წლიდან მანდატურს სამსახურში ნიშნავს სკოლა, აღნიშნული ცვლილებები კანონში 2012 წლის 27 დეკემბერს შევიდა. მიმდინარეობს პროცედურული საკითხების დასრულება, რომ აღვასრულოთ საკანონმდებლო მოთხოვნა. ამ ეტაპზე ფუნქციურად არაფერი იცვლება.

ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სკოლის მანდატურებს სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე ინფორმაცია სოციალური ქსელით გაეგზავნათ, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. განათლების სამინისტრო კომუნიკაციისთვის იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას“, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## უსუფაშვილი კანონში შესატან ცვლილებებს ერთ კვირაში ელოდება



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო კანონში შესატანი ცვლილებების მომზადებას პარლამენტის თავმჯდომარე უახლოეს ერთ კვირაში ელოდება.

„წინ წავიდა საარჩევნო კოდექსზე მუშაობა და ზვიად ძიძიგურის ხელმძღვანელობით მომუშავე ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ორი თუ სამი ორდღიანი შეხვედრა ჩაატარა; კიდევ ერთი იგეგმება და უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ველით საკანონმდებლო ცვლილებების ფორმით ფორმულირებულ საკითხებს, რომელიც უშუალოდ თვითმმართველობის არჩევნებს ექნება. გვინდა თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა თებერვალში დავასრულოთ, თუმცა დანარჩენ საკითხებზე ინტერფრაქციული ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ნარკორეალიზატორები და მომხმარებელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორები და მომხმარებელი დააკავა. კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1977 წელს დაბადებული იოსებ ს., 1969 წელს დაბადებული ეკა ფ. და 1953 წელს დაბადებული ტარიელ კ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.



სამართალდამცველებმა ეკა ფ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად წნორში, ალმაშენებლის ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც მან იოსებ ს-ს 300 ლარის სანაცვლოდ 8 ამპულა „მორფინი" გადასცა. ეკა ფ-ს პირადი ჩხრეკისას კიდევ 12 ამპულა ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ეკა ფ-მ ტარიელ კ-სგან შეიძინა. სამართალდამცველებმა ტარიელ კ. ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად იმავე დღეს თელავში დააკავეს. ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დაკავებისას იოსებ ს. ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. სამივე ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

## რომელ მინისტრს აქვს ურთიერთობები რუსეთთან?



**დღეს უკვე ბევრს ლაპარაკობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში რუსული აგენტურაა ჩანერგილი, თუმცა არ არის გამორიცხული, ეს იყოს „ნაციონალების" მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია. ამასობაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი რუსეთის ხელისუფლებას უგზავნის წერილს, სადაც სრული კეთილგანწყობაა დაფიქსირებული.**

**„ალიას" საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ესაუბრება:**

**— ბატონო ვალერი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლაც შესაძლებელია თუ არა, რომ ხელისუფლებაში რუსული აგენტურა იყოს ჩანერგილი?**

– ვინც ასე ფიქრობს, მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ისინი ჩამორჩნენ რუსული აგენტურის მუშაობასაც და პრაქტიკასაც. „კაგებეს" მუშაობის ძველი მეთოდოლოგია „ფეესბეშიც" კი არის შემორჩენილი, მაგრამ ნელ-ნელა, მით უმეტეს, პოლიტიკურ ნაწილში, გადადიან უფრო ამერიკულ მოდელზე. მაგალითად, ამერიკელებისთვის „აგენტი" არ არის სამარცხვინო სიტყვა, უბრალოდ, ადამიანი არის სპეცსამსახურების ფარული თანამშრომელი. საბჭოთა პერიოდში „აგენტი" იყო კაცი, რომელსაც კომპრომატებზე დააბამდნენ და მერე აიძულებდნენ, შეესრულებინა რაღაც დავალებები.

**— ასე „დაბმული" საქართველოში ბევრია?**

– კი, მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს სხვა დონეზე ხდება... მაგალითად, ვიღაცეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მართავენ თანამდებობის პირებს. აქ მთავარი მავანთა ინტერესებია და არა სახელმწიფო ინტერესები. ამას უფრო გავლენის აგენტურა ჰქვია და შეიძლება ასეთები მართლაც არიან ხელისუფლებაში.

**— სწორედ ამაზეა ლაპარაკი, ხომ შეიძლება, რუსებიც აკეთებინებენ რამეს ჩვენს ჩინოვნიკებს?**

– მე იმას ვამბობ, რომ დღეს სპეციალურად მომზადებული და ჩანერგილი აგენტები არ არსებობენ, ეს გამორიცხულია. მე ამ ეტაპზე ვერ ვხედავ საქართველოს ხელისუფლების კონტაქტებს რუსეთთან, პირდაპირი კონტაქტები არ არსებობს. ვის შეიძლება, დღეს რუსებთან კონტაქტი ჰქონდეს? ალბათ, ენერგეტიკის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და თავად ბიძინა ივანიშვილს, თავისი ბიზნესებიდან გამომდინარე. თავდაცვის მინისტრი გამორიცხულია... ადრე მას ჰქონდა რაღაც შეხება, მაგრამ ამჟამად გამოვრიცხავ. სამწუხაროდ, მე ვხედავ, რომ ამ მხრივ მთავრობა ძალიან ფრთხილია და ხშირად ექვემდებარება „ნაციონალების" შანტაჟს. ამისი საუკეთესო მაგალითი იყო პარლამენტის დადგენილება, სადაც ჩაწერეს, რომ მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს. შეიძლება ფიქრობდე ასე, მაგრამ, როცა დადგენილებაში წერ, ამ ყველაფერში რუსეთია დამნაშავეო, ეს უკვე ნამეტანია. აფიშირებას აკეთებენ, რუსეთი ჩვენ და უკრაინას ხელს გვიშლის ევროინტეგრაციაშიო. სად ჩანს, რომ რუსეთი ჩვენ ხელს გვიშლის?

**— ამ ეტაპზე არ ჩანს, მაგრამ შიშობენ, რომ ოლიმპიადის შემდეგ რუსეთი ჩვენც დაგვცხებს.**

– საქართველოს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ძალიან არის ამისთვის განწყობილი და მინდა, ყველა დავამშვიდო. თუ ჩვენ პრობლემები შეგვექმნა, მიზეზი მხოლოდ ის იქნება, რომ თვითონ ევროპა ვერ მოიცლის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუსეთმა საქართველოში მიაღწია მაქსიმუმს და ამით დაამთავრა. თუ საქართველო იქცევა ბარიერად ევრაზიულ სივრცეში სომხეთის გაწევრიანებისთვის, ეს ისევ ჩვენთვის იქნება ცუდი. აუ, მგელი მოვა ოლიმპიადის შემდეგო! არ მოვა ეს მგელი.

**— ძალიან კარგი, თუ არ მოვა... გამოქვეყნდა ირაკლი ღარიბაშვილის წერილი, რომელიც ერთ-ერთმა რუსულმა ჟურნალმა დაბეჭდა. საკმაოდ კარგი წერილია, მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი წერს: „დღევანდელი ევროპა სრულყოფილი არ არის, მაგრამ სად არის უკეთესი? ჩვენ სასიცოცხლოდ დაინტერესებული ვართ, რომ არანაირი საფრთხე და მუქარა არ იყოს მეზობლის მხრიდან საქართველოს მიმართ". გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრიც ელოდება რაღაც საფრთხეს.**

– სამწუხაროდ, დღევანდელ მთავრობას შიდა კოალიციური ძალებისა და „ნაციონალების" შიში აქვს, ამიტომ ვერ დგამს თამამ ნაბიჯებს რუსეთის მიმართულებით. ეს შიში აშკარად მუშაობს და მოქმედებს. კოალიცია მიდის სხვა გზით, როდესაც უკრაინაში ჯერ სიტუაცია გარკვეული არ არის, ქვეყნისთვის საზიანო განცხადებები კეთდება. რომელმა ქვეყანამ გააკეთა მსგავსი განცხადება, ჩვენ რატომ გავრბივართ ყველაზე წინ? ჩვენ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყანა ვართ, თუ დავიწყებთ ამ ქვეყნის საპირისპირო მოქმედებებს, მაშინ საფრთხე იქნება. თუ შევალთ ნატოში და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგდება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები რუსეთის მიმართულებით, ბუნებრივია, რუსეთიც დაგვიმიზნებს რაკეტებს.

თუ აქ ნატომ განალაგა ბაზები, ინვენტარიდან დაწყებული, იარაღით და კონტინგენტით დამთავრებული, ყველაფერი იქნება თურქული. ეს რას მოგვიტანს, ამას მერე ვნახავთ. ჩვენ ვეძებთ თავდაცვას, რაც გამოიწვევს თავდასხმას. რუსებს თავდასხმა რომ უნდოდეთ, ყველას ფეხებზე დაიკიდებს... შენ რა გგონია, 2008-ში მართლა „ბაბოჩკიანმა" პრეზიდენტებმა შეაჩერეს რუსები და ამიტომ არ შემოვიდნენ თბილისში? ან გჯერა, რომ ამერიკული გემისა შეეშინდათ? რუსები მაშინ შიგნიდან ელოდნენ რაღაც ნიშანს, მაგრამ რაკი ვერ მიიღეს, სამხედრო მოქმედებები გააჩერეს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## მოქალაქეობის მსურველებს საქართველოს ისტორიის ცოდნა აღარ მოეთხოვებათ

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენით დაინტერესებული პირები საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის შესამოწმებელი ტესტირების გავლისგან თავისუფლდებიან. მათთან მიმართებაში მხოლოდ ქართული ენის ცოდნის დონე შემოწმდება.

ამას „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" კანონპროექტი ითვალისწინებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებასთან, შეწყვეტასთან და აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები მთლიანად გადაიხედა. ცვლილებები შედის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლებშიც. კერძოდ, უქმდება სხვა ქვეყანაში ცხოვრების გამო (არასაპატიო მიზეზით 2 წლის განმავლობაში საკონსულო აღრიცხვის არქონა) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, სადღეისოდ მოქმედი კანონი ორმაგი მოქალაქეობის მფლობელი პირების მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს, არ არეგულირებს. პროექტით კი განსაზღვრულია უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის დაუშვებლობა იმ პირთათვის, ვისაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა. განისაზღვრა ამ კატეგორიის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის დაუშვებლობა, მათი მოქალაქეობის ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში, უშიშროებისა და მსგავს ორგანოებში სამსახურის გამო. (ინტერპრესნიუსი)

## მერაბიშვილი სიცრუის დეტექტორზე შემოწმებას ითხოვს



ვანო მერაბიშვილი მზად არის, მისი ციხიდან გაყვანის საკითხზე სიცრუის დეტექტორზე შეამოწმონ. მისი თქმით, იმედი აქვს, რომ პროკურატურა ამ ტესტს ჩაატარებს.

„მზად ვარ, სიცრუის დეტექტორზე ან ნებისმიერი ქვეყნის ექსპერტიზის წინ დავადასტურო ჩემი სიმართლე. ვერც სოზარ სუბარი, ვერც ფარცხალაძე და ვერავინ გაბედავს სიცრუის დეტექტორზე დაჯდომას. მე ამისთვის მზად ვარ და იმედი მაქვს, პროკურატურა ამ ტესტს ჩაატარებს, მიუხედავად იმისა, რომ არ დარჩა არც ერთი ადამიანი, რომელსაც ჩემ მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ეჭვი ეპარება", – განაცხადა მერაბიშვილმა.

პროცესი მოწმეთა დაკითხვის ეტაპით, ვანო მერაბიშვილის გარეშე გაგრძელდა. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

გადაიარა ახალი წლის დღეებმა და ისევ დაიწყო კოალიციაში გაუგებრობები... დეპუტატი მურმან დუმბაძე დამუქრებია ხელისუფლებას, თუ არ იქნება მისი ინტერესები გათვალისწინებული აჭარაში, მაშინ ის გააკეთებს განცხადებას: ხალხო, მე მინდა, რომ დაგეხმაროთ, მაგრამ კოალიცია არ მაძლევს ამის საშუალებას, ამიტომ გადავდივარ ოპოზიციაში და ვიწყებ ბრძოლასო. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას", დუმბაძეს დღევანდელ ხელისუფლებაში ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც მთავრობას არწმუნებენ, თუკი დუმბაძე ოპოზიციაში გადავა, ამას აჭარაში სერიოზული ვნებათაღელვა მოჰყვებაო. ადამიანის უფლებების დამცველის, თამაზ ბაკურიძის თქმით, დღეს მურმან დუმბაძეს რეგიონში არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნია და ვერც ვერავის ააჯანყებს:

„მე არ ვიცი, ვინ არწმუნებს ხელისუფლებას, რომ დუმბაძეს შეუძლია, ვინმე გამოიყვანოს ქუჩაში? ეს არის წმინდა წყლის სიცრუე. ხელისუფლებას შეუძლია, ჩაატაროს გამოკვლევა, ჩამობრძანდით ბათუმში და ჰკითხეთ ხალხს, თუ ერთ ადამიანს მაინც იპოვით, რომელიც დადებითს იტყვის, მაშინ მე ხმას აღარ ამოვიღებ. ეს ადამიანი დღეს უკვე გაკოტრებულია, რომც გამოვიდეს და თქვას: ხალხო, მე მინდოდა, თქვენთვის მებრძოლა და გვერდით დაგდგომოდით, მაგრამ ამისი საშუალება არ მომცესო, მაინც არავინ დაიჯერებს. ახლა ლევან ვარშალომიძე და მურმან დუმბაძე ქუჩაში ერთად რომ გავუშვათ, ამ უკანასკნელს უფრო მეტი ფურთხი მოხვდება, ვიდრე ვარშალომიძეს. მე არ ვიცი, ასე როგორ უნდა შეაზიზღო თავი აჭარას? ბანკებით დაზარალებულებს არჩევნების წინ კუდში დასდევდა, ოღონდ ხმა მომეცით და ყველანაირად დაგეხმარებითო. ახლა ეუბნება, სესხს რომ იღებდით, არ იცოდით, რომ დასაბრუნებელი იქნებოდაო? ასე რომ, ხელისუფლებას ტყუილად ეშინია, მურმან დუმბაძე დღეს, ფაქტობრივად, არარაობაა".

ვერა და ვერ გადაინაწილეს კოალიციაში გავლენის სფეროები, ვის აჭარაში უნდა საკუთარი ინტერესების გატარება, ვის – მარნეულში, ვის – ყარაჯალაში. გავლენა ფულია, გავლენა კეთილდღეობაა, აქ საქმე მოსწრებაზეა, ბევრმა უკვე იცის, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში წითელი აენთება და ამიტომაც ცდილობს, „საკვები" მოიმარაგოს.

ამასობაში „ნაციონალები" თავიანთ საქმეს აკეთებენ. უკვე ქმნიან ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რომელთა წევრებიც დაჰყავთ სემინარებსა თუ კონფერენციებზე. „ნაციონალები" თავიანთ ხალხს ნერგავენ ყველგან – ტელევიზიებშიც, პრესაშიც და სახელმწიფო სტრუქტურებშიც. ძველი სახეები ნელ-ნელა ან უკან იწევენ, ან კიდევ „ქართულ ოცნებაში" გადადიან. დაუკვირდით, საკმარისია, ორმა „ნაციონალმა" სადმე ჩაირბინოს, ეგრევე ყველა არხი მისდევს უკან და მერე მთელი საღამო მიდის გარჩევები. „ქართული ოცნება" მთელი თავისი შემადგენლობით ყირაზე რომ დადგეს, შეიძლება „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" გადაიღოს, ისიც ზრდილობის გულისთვის.

ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, თებერვლიდან „ნაციონალური მოძრაობა" ფარულად იწყებს საკუთარი სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას, ანუ დიდი ფულის ჩადებას ამ სფეროში, რის შემდეგაც გააქტიურდება ახალგაზრდების არაერთი ჯგუფი. ისინი არ გამოვლენ სააშკარაოზე „ნაციონალური" დროშით და არ იყვირებენ „მიშა-მიშა"-ს. რაც მთავარია, ძალიან სერიოზული ფრონტი გაიხსნება რეგიონებში, არ დარჩება ერთი მივარდნილი სოფელიც კი, სადაც მსგავსი ტიპის „ენჯეოშნიკები" არ შევლენ და არ გამოიყენებენ ხალხის იმედგაცრუებას. არ დაგავიწყდეთ, „ნაციონალების" მსგავსად საქართველოში არავინ იცის ყალბი პიარის საფუძვლები და არავინ იცის, როგორ უნდა გააბრიყვოს გულუბრყვილო მოსახლეობა. უკვე არაერთხელ ვიმეორებ: ამ დროს რას აკეთებს ხელისუფლება, კოალიცია და „ქართული ოცნება"? არაფერს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მთელი დღე „ფეისბუკში" უშვებენ ორთქლს და ისეთ თემებზე მსჯელობენ, როგორიცაა, მაგალითად, მონიკა ბელუჩიზე ლამაზი რომელი მსახიობია და რომელია პირველი ფეხბურთელი, მარადონა თუ პელე?

კიდევ ერთი კულუარული ინფორმაცია, რომელსაც „ალიას" თამაზ ბაკურიძე აწვდის: ერთ-ერთ წინა ნომერში უკვე ვწერდით, რომ აჭარის მთავრობის მეთაური, არჩილ ხაბაძე თბილისში იმყოფებოდა ირაკლი ღარიბაშვილთან შესახვედრად ბათუმის მერობის კანდიდატურის თაობაზე. როგორც ახლა ირკვევა, ამ მხრივ ჯერჯერობით ვერაფერი გადაწყდა... როგორც ბაკურიძე ამბობს, პრემიერ-მინისტრი ისე დაღალა არჩილ ხაბაძის უნიათობამ, საერთოდ ჩაიქნია ხელი და არ არის გამორიცხული, მერობის კანდიდატი თბილისიდანაც კი გაგზავნონ. მისივე ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი ხაბაძეს ტელეფონზეც კი აღარ პასუხობს. მართლაც უნიათობასთან გვაქვს საქმე, თუკი აჭარაში არ გამოიძებნება ადამიანი, რომელსაც ბათუმის მერობის კანდიდატად წარადგენენ. სხვათა შორის, ბაკურიძე იმასაც ამბობს, რომ ამ ყველაფერმა ძალიან დაძაბა სიტუაცია კოალიციაში, მურმან დუმბაძეს თავისი კაცის გაყვანა უნდა, არჩილ ხაბაძეს – თავისი და ასე შემდეგ.

აი, ისევ მივედით იქ, საიდანაც ეს წერილი დავიწყე... იმის ნაცვლად, რომ კოალიციამ „ნაციონალების" ფარულ მზაკვრობაზე გადაიტანოს ყურადღება და რეგიონებს მიხედოს, მისი წევრები საკუთარი ინტერესების გატარებაზე ფიქრობენ.

დაბოლოს... 27 იანვრის „ალიაში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც საუბარი იყო იმ დეპუტატებზე, რომლებიც თავიანთ წილებს მალავენ და არ შეაქვთ ქონებრივ დეკლარაციაში. აქვე მოხსენიებული იყო ჩვენი ყოფილი კოლეგა, ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ანი მიროტაძე. როგორც თავად განმარტავს, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, თითქოს ერთ-ერთ შპს-ში 50-პროცენტიანი წილი აქვს:

„2009 წელს მეგობართან ერთად მართლაც დავაარსე კომპანია „პიარ-ჯგუფი", რომელიც იმუშავებდა პიარზე. ვინაიდან პარლამენტარს ეკრძალება რაიმე წილის მართვა, მოითხოვეს, რომ უნდა დამეთმო და მოხდა ამ კომპანიის ლიკვიდაცია. ამიტომ ეს წილი არ უნდა ასახულიყო არც ერთ დეკლარაციაში".

კი, ბატონო, ანი მიროტაძის პოზიცია გასაგებია. მისი ბიოგრაფია ჩვენ, ასე თუ ისე, ვიცით, მაგრამ რატომ არ აკეთებენ იგივეს, რატომ არ აკეთებენ მსგავს ახსნა-განმარტებებს სხვა დეპუტატები?

## „ქართულ ოცნებაში" დაპირისპირება მწვავდება?

### რით ემუქრება მურმან დუმბაძე კოალიციას?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

## „აი-დი" მოწმობაზე ინფორმაციის დატანა კანონით განისაზღვრება

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე, მოქალაქის თანხმობის გარეშე, სახელმწიფოს აეკრძალება იმაზე მეტი ინფორმაციის შეტანა, ვიდრე დღეს ამ ბარათში არის.



როგორც წულუკიანმა განმარტა, დღეს ამ ბარათზე არის მხოლოდ ინფორმაციები, რასაც ზედ ხილულად ვხედავთ. „მეტი არაფერი სხვა ჩვენს მონაცემთა ბაზაში ამ ბარათის უკან დაცული არ არის.

„ჩვენ გვჭირდება კანონი და ვფიქრობ, ეს არის საფუძვლიანი, ლეგიტიმური, რომელიც იტყვის, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქალაქეს სურვილი აქვს, მისი ნებართვით სერვისების განვითარების სააგენტომ შეძლოს ამგვარი ინფორმაციის დატანა და დამატება იმ საბაზისო ინფორმაციაზე, რომელსაც ყველა სახელმწიფო უნდა ინახავდეს, ეს არის გვარი, სახელი, მოქალაქეობა, დაბადების წელი, ხელმოწერა და მისამართი. მეტი არაფერს სხვას, თუკი არ არის თანხმობა მოქალაქის მხრიდან", – განაცხადა წულუკიანმა და აღნიშნა, რომ ამ ინიციატივაზე ფიქრობენ და მალე ეს კონსულტაციების საგანიც გახდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ციფრული მაუწყებლობის სააგენტო იქმნება




საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ციფრული მაუწყებლობის სააგენტო იქმნება.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება, კომპეტენციის ფარგლებში ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; შეზღუდული ბუნებრივი რესურსის – რადიოსიხშირეების მაღალეფექტურად გამოყენებით შემჭიდროებულ ვადებში ქვეყნის საეთერო ტელემაუწყებლობის ქსელების ციფრული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით მოდერნიზაციის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და მიმდინარე პერიოდში მოქმედი მიწისზედა საეთერო მაუწყებლობის კომპანიების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ხელშეწყობა; ქვეყნის მოსახლეობისთვის დადგენილი ხარისხის მრავალარხიანი მიწისზედა საეთერო მაუწყებლობით უზრუნველყოფისა და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სავალდებულო უფასო სატელევიზიო არხების გარანტირებულად გავრცელების ხელშეწყობა; საეთერო მაუწყებლობაში ვაკუუმის არდაშვების მიზნით ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში მოსახლეობის ციფრული ინდივიდუალური მიმღებებით უზრუნველყოფის, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ციფრული მიმღებებით უფასოდ აღჭურვის ღონისძიებების განხორციელება; ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და წარმართვის კოორდინაცია.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ბიუჯეტი 20 მილიონი ლარი იქნება და მისი დაფინანსება ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში მოხდება. სააგენტო 2015 წლის ბოლომდე იმუშავებს.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირისა და ევროკავშირის შესაბამისი აქტების თანახმად, ევროპაში და მათ შორის საქართველოში, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა 2015 წელს უნდა დასრულდეს. (ინტერპრესნიუსი)

## ისრაელიდან ბიზნესმენები ჩამოვლენ



საქართველოს მარტის დასაწყისში ისრაელის წამყვანი ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ეწვევიან. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოში ინვესტირების სურვილი ბიზნესმენებმა ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრაზე გამოთქვეს. (ინტერპრესნიუსი)




# ექსკლუზივი

# სოზარ სუბარიც კარგი მფლანგველი ყოფილა

## ამისთვის ვიბრძოდით?

**„ალიას“ ესაუბრება ფინანსისტი გიორგი ჩახაია:**

**— ბატონო გიორგი, თქვენ შეისწავლეთ სოზარ სუბარის უწყების ხარჯები. რა აღმოაჩინეთ?**

– სულ, 2013 წელს, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, შეძენილია 1 635 085 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, 2013 წელს ავტომობილები არ შეუსყიდია, ეს იმიტომ რომ, 2012 წლის ბოლოსთვის, მათ უკვე ჰყავდათ ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ კი ე.წ. ჯიპები, როგორიცაა: „აუდი ქიუ 7“, „ლენდკრუიზერ 200“, „ლენდკრუიზერ პრადო“, ფოლკსვაგენ „ტიგუანი“ და ა.შ. ყველა ეს ჯიპი იყო ახალი, ანუ 2012 წლის გამოშვების. სულ 2012 წლის ბოლოსთვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე ირიცხებოდა 25 ერთეული ახალი ავტომობილი და 2013 წელს არანაირი საჭიროება არ იყო კიდევ დამატებით რამე ავტომობილის შესყიდვის. სამაგიეროდ, სამინისტროს სხვა უწყებებმა შეიძინეს ახალი ავტომობილები დამატებით.

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ შეიძინა 163 600 ლარის ღირებულების ავტომობილები, სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურმა – 52 000 ლარის ღირებულების ავტომობილები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა – 53 205 ლარის ავტომობილები და, რაც მთავარია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა – 1 366 280 ლარის ღირებულების ავტომობილები, და ეს იმ პირობებში, როცა ყველა ამ უწყების ბალანსზე, 2012 წლის ბოლოსთვის, უკვე ირიცხებოდა, ძალიან ბევრი და ამავე დროს მაღალი კლასის ავტოსატრანსპორტო საშუალება.



სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, 2013 წელს შეისყიდა 1 366 280 ლარის ღირებულების ავტომობილები და, ეს იმის პარალელურად, როდესაც მის ბალანსზე ირიცხებოდა შემდეგი ავტოსატრანსპორტო საშუალებები: 2012 წელის გამოშვების 4 ერთეული უახლესი მოდელის „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“, 2012 წელის გამოშვების 17 ერთეული „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“, 39 ერთეული ტოიოტა „ჰაილუქსი“, „ბეემვე X5“, ტოიოტა „ქემრი“, ნისან „მურანო“, ლენდ როვერი, ჰიუნდაი „ი 30“, ჰიუნდაი „იქს 35“ და ა.შ. სულ 2013 წელს, სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი უწყებების მიერ, დაიდო 736 528 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რეცხვაზე და 4 419 864 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ავტომობილის საწვავის შესყიდვაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემის სარგებლობაში იმყოფება ბევრი სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალება (ბადრაგირების ავტომობილები და ა.შ), გარდა ამისა, ამ ტიპის ხარჯების მასშტაბურობას განსაზღვრავს, მათ მიერ იმ კატეგორიის ავტომობილებით სარგებლობა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, და რომლებიც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. სპეცავტომობილებად.



**— თქვენ თქვით, რომ სუბარს საჩუქრებზეც სოლიდური თანხა დაუხარჯავს...**

– ამ მხრივ სამინისტრო და მისი უწყებები რამე განსაკუთრებული გულუხვობით არ გამოირჩევიან. სულ შესყიდულია 18 380 ლარის ღირებულების საჩუქრები და ეს არც არის რამე განსაკუთრებულად თვალშისაცემი იმის ფონზე, სხვა სამინისტროებს რა რაოდენობის თანხები ჰქონდათ დახარჯული ამ მიმართულებით.

**— რა რაოდენობის თანხა აქვს დახარჯული სუბარის უწყებას რესტორნებზე და რა სახის მენიუთი სარგებლობდნენ?**

– სულ, 2013 წელს, სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, სარესტორნო მომსახურებასა და ფურშეტების მოწყობაზე, დახარჯულია 59 077 ლარი. როგორც სხვა სამინისტროების შემთხვევაში, მომსახურე მაღალი კლასის რესტორნები უცვლელია. აქ ერთი, რასაც შეიძლება ხაზი გავუსვა, არის ის, რომ, დავუშვათ, როდესაც სტუმრები მიიწვიეს რესტორანში, მოხდა ცალკე დარბაზის დაქირავება ამ მიზნებისთვის, რაც, ბუნებრივია, დამატებით ხარჯთან არის დაკავშირებული, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი დარბაზის ქირის თანხამ ცალკე შეადგინა 1500 ლარი. მენიუ კი, როგორც ყოველთვის მრავალფეროვანია: ორაგული ხიზილალას სოუსით, ალაზნის ლოქო ქინძმარში, მწვადი მეიდნურად და ა.შ. ანუ ამით იმის თქმა მსურს რომ, საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზებულ სუფრებზე, ძალიან ხშირად სჭარბობს მსგავსი ძვირადღირებული საფირმო კერძები.

**— ტექნიკური აღჭურვილობაც შეცვალეს, ხომ?**

– სულ, 2013 წელს, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, შეძენილია 937 909 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები, მათ შორის 555 000 ლარის ღირებულების 740 ახალი პერსონალური კომპიუტერი. არ ვიცი, რა სამსახურებრივი აუცილებლობით იყო განპირობებული აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, მაგრამ, ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, სულაც არ არის აუცილებელი ამ უწყებების მაქსიმალური კომპიუტერიზაცია. იგივე ეხება სხვა თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვასაც. მაგალითად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შესყიდულია ვიდეოკამერა „პანასონიკი“ (კომპლექტი), ღირებულებით 15 520 ლარი.

**— ავეჯი გადაახალისეს?**

– დიახ, შესყიდულია 1 148 610 ლარის ღირებულების ავეჯი. ლოგიკურია რომ, ეს სამინისტრო წარმოადგენს საკმაოდ დიდი მასშტაბების სამინისტროს, ვგულისხმობ უწყებების რაოდენობას და მათ საშტატო ერთეულებს და შესაძლოა, ამით იყოს განპირობებული ამ რაოდენობის თანხის დახარჯვა ავეჯში, მაგრამ პირადად ჩემს კრიტიკას ვერანაირად ვერ უძლებს, დავუშვათ, 8291 ლარის ღირებულების სათათბირო მაგიდის შეძენა.

**— რაც შეეხება მობილურებს?**

– სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა, 2013 წელს შეიძინა 5 ცალი მობილური ტელეფონის აპარატი „აიფონ 5“. სულ გადახდილია 7858 ლარი. ყველაზე დაბალფასიანის ღირებულება იყო 1370 ლარი, ხოლო ყველაზე ძვირადღირებულის – 1774 ლარი.

**— ყავა სუბარის უწყებაშიც უყვართ?**

– დიახ, სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, სხვადასხვა საკვები პროდუქტების შეძენაზე დაიდო 39 303 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, მათ შორის შესყიდული იყო 3417 ლარის ღირებულების 38.7 კილოგრამი ყავა. ასევე ძირითადი შეძენილი საქონელი იყო: გაზირებული სასმელები, ნატურალური წვენები, შოკოლადები, კანფეტები, კრუასანები, ხილი და სხვა მსგავსი პროდუქტები. ამასთანავე, სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, სასტუმროს ნომრების მომსახურებასა და სასტუმროში გასამართი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების შესყიდვაზე დახარჯულია 71 201 ლარი, მათ შორის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ, კახეთში ორგანიზებული ღონისძიების მომსახურებისთვის, სასტუმრო „ლოპოტა რესორტისთვის“ გადახდილია 10 650 ლარი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი რუსეთს შემხვედრი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს




რუსულ ჟურნალში „რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სტატია სათაურით – „საქართველო-რუსეთი: ჩიხიდან გამოსვლის ძიებანი“. პრემიერი რუსეთს ორი ქვეყნის ურთიერთობებში ჩიხური ვითარებიდან გამოსასვლელად შემხვედრი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

„ქართული მხარისთვის ოლიმპიადაში მონაწილეობის გადაწყვეტილება მარტივი არ იყო, ვინაიდან თამაშები იმართება რუსეთ-საქართველოს საზღვართან, აფხაზეთთან. ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა – ქართველები დღემდე დევნილები არიან. 20 წელი გავიდა ტრაგიკული კონფლიქტის დასრულებიდან, მაგრამ მათ არ შეუძლიათ საკუთარ სახლებში დაბრუნება“. – ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის სტატიის პირველივე აბზაცში.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი წერს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ყველა საერთაშორისო სამართლის ნორმისა და შეთანხმების დარღვევით რუსეთს არ გაჰყავს თავისი ჯარები ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან. ასევე, აღნიშნულია, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართველი სპორტსმენები ჩადიან სოჭში. ქართული მხარის მიდგომა ასეთია: სპორტის პოლიტიზების შემთხვევაში ყველაზე მეტად ზარალდებიან სპორტსმენები.

წერილში აღნიშნულია, რომ სოჭის ოლიმპიადაზე სპორტსმენთა გამგზავრების გადაწყვეტილება იმითაც იყო განპირობებული, რომ რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების დიალოგის ფორმატში, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობის ინიციატივით 2012 წელს დაიწყო, შესაძლებელი გახდა სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა, ქართული პროდუქცია დაუბრუნდა რუსულ ბაზარს. სატრანსპორტო მიმოსვლისთვის მოიხსნა პოლიტიკური წინააღმდეგობები. იხილება საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხები. 2013 წელს 50%-ით გაიზარდა საქართველოში რუსი ტურისტების რიცხვი. სხვათა შორის, რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ყოველგვარი ვიზების გარეშე სტუმრობენ. საქართველოში მათ მიმართ დამოკიდებულება კეთილმოსურნეა. სამწუხაროდ, პრაქტიკულად არანაირი პროგრესი არ არის ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციებზე, რომელიც გაერო-ს, ევროკავშირისა და ეუთო-ს მონაწილეობით მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ალიაქოთი

## უსუფაშვილი პარლამენტში წიწაკის გაზის გამოყენებას აპირებს?

ყველაზე კარგი, რაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დანერგეს, ის არის, რომ პერიოდულად მედიას ხვდებიან და ნებისმიერი კითხვის დასმის შესაძლებლობაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პასუხს ნებისმიერ კითხვაზე მივიღებთ, მაგრამ ესეც საქმეა. გუშინ დავით უსუფაშვილის ჯერი იყო. პარლამენტის თავმჯდომარემ, სხვა საკითხებთან ერთად, ორ საინტერესო თემაზეც ისაუბრა. პირველი პატიმრობის შესახებ კანონს ეხება. „არ ვიცი, რას ნიშნავს წიწაკის გაზი და მწვანე წიწაკაა საჭირო თუ წითელი, მაგრამ წესრიგის დამყარება აუცილებელია და ხანდახან პარლამენტშიც კი მჭირდება ასეთი საშუალებები", – არ დამალა უსუფაშვილმა.

მისი განცხადება შესაძლებლობას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მალე ანალოგიური რამ პარლამენტშიც დაინერგება. დიდ გაზის კამერას კი ჰგავს ქუთაისის პარლამენტი და წიწაკა, ხელკეტი და ძაღლი რა პრობლემაა. საინტერესო სანახავი კი იქნება, პოზიციასა და ოპოზიციას წიწაკის გაზით რომ „დაამშვიდებენ" და ძაღლიანი მანდატურები დაერევიან. მერე, რომელიმე ჭკვიანი მოიფიქრებს და პარლამენტთან საშაურმეს ააშენებს. წიწაკა იქნება, ვირებიც ჩამოისეირნებენ და შაურმის გაკეთებას მეტი კი არაფერი უნდა.

უსუფაშვილმა ისიც თქვა, პარლამენტი ქუთაისშიც იქნება და თბილისშიც, სხვანაირად არ გამოვა, „შნურით" ვარ მიერთებული მთავრობასთანო. ეს რომ მიხეილ სააკაშვილს გაუგია, გადარეულა. იმხელა ანძა რომ ჩააბნელეთ, ერთი „შნური" გადაგეჭრათ, უფრო იოლი და ეფექტური იქნებოდაო, მაგრამ რაღა დროს. ისე, სააკაშვილზე იმასაც ამბობენ, ამერიკაში კარდაკარ დადის და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებაო და მერე ნახეთ, წიწაკის გაზი, ელექტროშოკი და ხელკეტი რა გასაქანს მიიღებს.

სხვისი არ ვიცი და, ნოდარ ხადურის აშკარად არ მშურს. ეროვნული ვალუტის კურსი „ექვსის ნახევარს" აჩვენებს, ანუ ვარდება, ხადური კიდევ გვაიმედებს, ყველაფერი კარგად იქნებაო. უფრო მეტიც, ბატონი „როგორი" დარწმუნებულია, რომ 2015 წლამდე თანამდებობაზე იქნება. ყოველ შემთხვევაში, დაგვპირდა 2015 წელს 1500 ბიზნესმენსა და 34 ქვეყნის ფინანსთა მინისტრს ჩამოვიყვან საქართველოშიო. ვისაც გაუხარდა, ვეტყვი, რომ მხოლოდ ფრანგი კოლეგის მასპინძლობა და რესტორანში ვახშამი 4 ათასი ლარი დაუჯდა ხადურის უწყებას და 1500 მადამოცემული ბიზნესმენი და 34 სხვადასხვა ქვეყნის „ხადურები" რას იზამენ, ხომ წარმოგიდგენიათ? ბიუჯეტის გარღვევა კი არა, გაფხრეწვა გველოდება და ეს ყველაფერი იმ წელს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პროგნოზით ძალიან კარგი უნდა იყოს. ხადურმა ისიც თქვა, ფასების ზრდა არ მაშინებს, რადგან ძალიან უმნიშვნელოდ გაიზარდაო და როცა ხელფასი 5000 ლარი გაქვს, ძნელია, ზრდა იგრძნო. სამაგიეროდ, პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველების ჯიბეს გაზრდილმა ფასებმა ისე დაარტყა, ჯაჭვლიანის მუშტი მონაგონია.







ჯაჭვლიანი ვახსენეთ და სოსო გუშინ ივანე მერაბიშვილის პროცესზე დაკითხეს. მანამდე მერაბიშვილმა განცხადება გააკეთა, სიცრუის დეტექტორზე შემამოწმეთ და მიხვდებით, რომ მართალი ვარ, როცა ვამბობ, რომ ფარცხალაძემ საკნიდან გამიყვანაო. ვერ გეტყვით, რას იზამს ხელისუფლება, მაგრამ 9 წელი 3 მილიონი ადამიანი, ნახევარი ევროპა და მთელი ამერიკა მოატყუეს მერაბიშვილმა და მისმა მეგობრებმა, ერთი სიცრუის დეტექტორის მოტყუება რა გახდა. განცხადების გაკეთების შემდეგ ვანომ პროცესი დატოვა, რამაც ჩვენების მისაცემად მისული სოსო ჯაჭვლიანი გააოცა – აქ რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა, არაფერს დავუშავებდიო. კარგი რა, სოსო, გია ბარამიძესაც მასე ეგონა, კი დადიოდა თამამად სხდომებზე, მაგრამ მერე „მესიჯი" მიუვიდა – პარლამენტში მისვლა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვისო და ახლა აღარ იცის, რა ქნას. თან ისეა პარლამენტს მიჩვეული ბარამიძე, „გადაგდება" უჭირს...

საავიაციო ქარხნის აეროდრომზე თავდაცვის სამინისტრომ ინტეგრირებული ქსელების მანქანის პრეზენტაცია გამართა. ალასანია სიხარულით თითებს იფშვნეტდა და ალბათ, ზედმეტად აღტყინებული იყო, როცა თქვა, ქართული სამხედრო რეფორმების ექსპორტს ევროპაში ვაპირებთო. მერე უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი გამოვიდა და საერთოდ, გაგვაოცა – იმედი მაქვს, ეს მანქანები არასოდეს გამოგვადგებაო. რა გამოდის? გავმართეთ მანქანების პრეზენტაცია, რომლებიც არასოდეს გამოგვადგება და რაც მთავარია, ამის ექსპორტს ალასანია ევროპაში აპირებს. ისტორია მეორდებაო და... მიშამ იცოდა ასე.



გუშინ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში დიდი ამბები იყო. იქაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა (ცხინვალში მთავრობანას თამაშობენ) განაცხადა, იტალიის ქალაქ ლანუზეის მერთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გავაფორმეთ და მალე პროექტების განხორციელებას დავიწყებთო. და რას აკეთებს ევროპელების გადამკიდე ჩვენი ხელისუფლება? სწორია, შეშფოთებისთვის ემზადება და შეშფოთების აღმნიშვნელ ნოტას ამზადებს. პარალელურად, იტალიის ელჩი ფედერიკა ფავი მისაჯირყვნად ფანჯიკიძის უწყებაშია დაბარებული და როგორც გვითხრეს, ქალბატონი მაია მთელი საღამო ვარჯიშობდა იტალიურში და დღეს ელჩს მისივე ენაზე ეტყვის „პორკე, ფედერიკა, პორკე?!" სხვათა შორის, იტალიის საგარეო უწყებამ აღნიშნული ცნობა უარყო, მაგრამ ოსები ლანუზეის მერის, დავიდ ფერელის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს აფრიალებენ და...

თამარ კორძაიამ უკვე საკუთარი კოლეგები გააკრიტიკა. როგორც „ნახალოვკელების" რჩეულმა განაცხადა, ხელისუფლებამ ვერ შეძლო, მის მიერ მიღებული „მაუწყებლობის შესახებ" კანონი შეესრულებინა. „მიუხედავად იმ ნიჰილისტური დამოკიდებულებისა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ კანონმა თავისი გასაკეთებელი საუკეთესოდ გააკეთა. პარლამენტარებმა ვერ გავაკეთეთ ჩვენი გასაკეთებელი", – განაცხადა დეპუტატმა.

აბა, რა გითხრათ? კორძაია პარლამენტში ცოტა გვიან მივიდა და სავარაუდოდ, არ იცის, რომ ზოგადად პარლამენტარები გასაკეთებელს ვერ თუ არ აკეთებენ და ამაში უცნაური არაფერია, მიჩვეული ვართ უკვე.

გრიპის ვირუსის გამო ივანიშვილისა და მედიის შეხვედრა ისევ გადადებულია. „მოქალაქის" წარმომადგენელ მოქალაქეს მსოფლიოს საუკეთესო ექიმები დაახვიეს თურმე, მთავრობის წევრები კი ნერვიულად დადიან და ჩურჩულებენ, – „ბატონი ავად გამხდარა"...

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### დოლართან ყველა ვალუტა წონას კარგავს



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის თქმით, დოლარის მიმართ ყველა ვალუტა წონას კარგავს. ხადურის ინფორმაციით, ქართულმა ლარმა პოზიციები დაახლოებით 8 პროცენტით შეასუსტა მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში არის 20, 40 და 50-პროცენტიანი ვარდნაც.

„ჩვენთან სიტუაცია არის ნორმალური, რადგან ბევრი ანალიზის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ სერიოზულ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ", – განაცხადა ხადურმა.

რაც შეეხება ლარის კურსის ვარდნის გავლენას საწვავის ფასების ზრდაზე, ფინანსთა მინისტრის შეფასებით, ეს ფასებზე პროპორციულად არ უნდა აისახოს.

„ნავთობი არ ძვირდება, შესაბამისად, ლარის კურის გაუფასურებამ საწვავის ფასის პროპორციული ზრდაც კი არ უნდა გამოიწვიოს. შეიძლება, ფასი ოდნავ გაიზარდოს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს პროპორციული", – აღნიშნა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

### 6 წლის გოგონა მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს





ვანის რაიონის სოფელ შუამთაში დაკარგული 6 წლის გოგონა მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა.

მისი თქმით, გოგონა მდინარე ყუმურში დაიხრჩო. მაშველებმა გოგონას ცხედარს 12-დღიანი ძებნის შემდეგ მიაკვლიეს. ვანის რაიონის სოფელ შუამთაში გოგონა 15 იანვარს დაიკარგა. (ინტერპრესნიუსი)

### ნატო-ს მხრიდან მაღალი შეფასება გვაქვსო



უშიშროების საბჭოს მდივნის, ირინა იმერლიშვილის განცხადებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებს ნატოს მხრიდან ძალიან მაღალი შეფასება აქვთ.

„არა მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც გვაქვს თავდაცვის სამინისტროდან, ასევე იმ ინფორმაციით, რომელიც აქვს ნატო-ს, როგორც პარტნიორს, თავდაცვის სამინისტროს აქვს ძალიან მაღალი შეფასება, მათ შორის იმ რეფორმებს, რომელიც უწყებაში მიმდინარეობს. ასევე, შეიარაღებულ ძალებსაც აქვს ძალიან მაღალი შეფასება ნატო-ს მხრიდან, რაც არის მისასალმებელი". – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

(ინტერპრესნიუსი)

## ექიმებმა ექვსფეხიან ბავშვს ოპერაცია წარმატებით ჩაუტარეს



შესახედად საკმაოდ მძიმეა ციცქნა ბიჭუნას ფოტოები, თუმცა, საბედნიეროდ, მისი პრობლემები მოგვარებულია და როგორც ამბობენ, ბავშვი ნორმალურად განვითარებას შეძლებს.

უიშვიათესი ანომალიით, რაც ექვსი კიდურის გამოზრდაში გამოიხატა, პაკისტანელი ბიჭუნა – უმარ ფარუკი დაიბადა, რომელსაც ექიმებმა ოპერაცია წარმატებით ჩაუტარეს.

– ხუთმა გამოცდილმა ქირურგმა ბავშვს ზედმეტი კიდურები მოჰკვეთა. ახლა უკვე მას ყველაფერი კარგად აქვს, – დაამშვიდა მშობლები და საზოგადოება პაკისტანის ერთ-ერთი კლინიკის დირექტორმა ჯამალ რაზამ.

მისი განმარტებით, უმარი უიშვიათესი დაავადებით დაიბადა, სახელწოდებით პოლიმელია. წესით, ის ტყუპისცალ ძმასთან ერთად უნდა მოვლენოდა სამყაროს, თუმცა საშვილოსნოში მოხდა დარღვევა, ტყუპისცალმა განვითარება ვერ შეძლო და ძმას „საჩუქრად“ საკუთარი ფეხები დაუტოვა.



სტატისტიკის თანახმად, ასეთი დაავადებით მილიონიდან ერთი ადამიანი თუ იბადება და ჩვეულებრივ, მათი გადარჩენა ხერხდება ხოლმე.

არ არის გამორიცხული, უმარის პრობლემებში უნებურად მისი მშობლები იყვნენ დამნაშავეები. კერძოდ, მამას ხშირი კონტაქტი აქვს რენტგენის აპარატურასთან. გარდა ამისა, ცოლ-ქმარი ერთმანეთის ახლო ნათესავებიც არიან და შესაძლოა, ანომალიის მიზეზი სისხლის აღრევაც გამხდარიყო.

*utro.ru*

## ამერიკული ოჯახი მსოფლიოში ყველაზე ჭკვიან ცხენს უვლის



54 წლის ამერიკელი კარენ მერდოკი მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ცხენის იღბლიანი პატრონია. ლუკასს შეუძლია ჯდომა და ჯოხის მოძებნა, როგორც ძაღლს, იცის 19 ციფრის ცნობა და ასე შემდეგ.

10 წლის წინათ ლუკასი დოღში მონაწილეობდა, თუმცა „კარიერა“ ვერ გაიკეთა და ყოფილმა პატრონებმა მის მოვლას, პრაქტიკულად, თავი მიანებეს. ცხენისგან მხოლოდ ძვალი და ტყავიღა დარჩა და ალბათ, ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა, მშველელად კარენ მერდოკი რომ არ გამოჩენოდა.

– მაშინვე მივხვდი, რომ ლუკასი ძალიან ჭკვიანი ცხენი იყო და მისი წვრთნა განსხვავებული ხერხებით დავიწყე, – ამბობს კარენი.

19 წლის ლუკასი გინესის წიგნშიც მოხვდა – მან ცხენებს შორის რიცხვების ამოცნობის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

*top.rbc.ru*

## ინდოეთის სასამართლომ 1 წლის საპატარძლოსა და 3 წლის სასიძოს ქორწინების ანულირება მოახდინა



ჰოდა, ძალიან კარგადაც მოიქცა, მაგრამ საკითხავი ის არის, რატომ შემოიფარგლა მხოლოდ ქორწინების ანულირებით და ამ საშინელების მომფიქრებელი უფროსები სამუდამოდ არ გაუშვა ციხეში?!

როგორც ირკვევა, 18 წლის ლაკსმი სარგარა რაკეშს (ვერ გეტყვით, გვარია თუ სახელი, რადგან სასიძო მხოლოდ ასეა მოხსენიებული) მაშინ მისთხოვდა, როცა თავად 12 თვის იყო, ხოლო ბიჭი – 3 წლის.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნების შეუღლება აკრძალულია, ინდოეთის რაიონებში ასეთი ქორწინებები საკმაოდ ხშირია. განსაკუთრებით მაინც ღარიბ ოჯახებში.

– ძალიან განვიცდიდი ამ ქორწინების გამო, თუმცა მშობლები მხარს არ მიჭერდნენ. მაშინ ვუთხარი, რომ სამართალს სხვაგან მოვძებნიდი, – ამბობს ლაკსმი სარგარა, რომელმაც დიდი ხნის მანძილზე, იქამდე არ იცოდა არაფერი, სანამ სახლში „ქმრის“ მშობლები არ მიადგნენ და წაყვანა არ დაუპირეს.

გოგონამ ძალიან ბევრი იწვალა, ბევრ ორგანიზაციას მიმართა და საბოლოო ჯამში, საქმე სასამართლომდე მივიდა, სადაც, საბედნიეროდ, ყველაფერი მის სასარგებლოდ გადაწყდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „იუნისეფის“ სტატისტიკის თანახმად, ე.წ. „ბავშვთა ქორწინებების“ 40 პროცენტი სწორედ ინდოეთში რეგისტრირდება. უფლებათა დამცველები იმედს გამოთქვამენ, რომ ლაკსმი სარგარას საქმეს დიდი რეზონანსი მოჰყვება და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ საშინელ ტრადიციას ბოლოს მოუღებს.

*bbc.co.uk*

## ჩინელებმა თევზის გემოს მქონე ცხვარი შექმნეს



არა, ცხვრის „შექმნა“ კი ჟღერს ძალიან უცნაურად, მაგრამ აბა, ერთი ის გვითხარით, თევზის გემოს მქონე ცხვრის ჩაქაფული რა, ხშირად გაგისინჯავთ?

ცნობილი ხდება, რომ ჩინელმა მეცნიერებმა ცხვრის კლონირება მოახდინეს, რომლის ხორციც თევზის ქონს შეიცავს.

ცხვარს სახელად პენ-პენი ჰქვია და ლაბორატორიულ პირობებში ის მიმდინარე წლის 26 მარტს დაიბადა.

გარდა იმისა, რომ პენ-პენს თევზის გემო აქვს, როგორც ჩინელი მეცნიერები ამბობენ, მისი ხორცი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან აუცილებელია. მაგალითად, შეუძლია ინფარქტისა და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებების რისკის შემცირება.

სავარაუდოდ, პენ-პენისგან ჩაქაფულს და შილაფლავს არავინ დაამზადებს, თუმცა მისი „მშობლები“ იმასაც ამბობენ, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული ცხვრის მასობრივად კლონირებისთვის ყველაფერი მზად აქვთ.

*top.rbc.ru*



## ხშირად გტკივათ წელი? სამსახური უნდა შეიცვალოთ

კაცო, ან გაზეთებს არ კითხულობენ ეს მეცნიერები, ან ტელევიზორს არ უყურებენ და არ გაუგიათ, მთელი მსოფლიო უმუშევართა რაოდენობის კატასტროფულად ზრდის გამო რომ დუღს და წუხს?! ჰოდა, თუ იციან და მაინც ასე ამბობენ, ან ძალიან ინტრიგანები უნდა იყვნენ, ან ადამიანის ბედზე ზრუნვით უკიდურესად შეწუხებულები.

– თუკი წელის ხშირი ტკივილები გაწუხებთ, შეეცადეთ, სამსახური შეიცვალოთ, – ასეთია ავსტრალიელი მეცნიერების რჩევა.

კვლევის შედეგად მათ დაამტკიცეს, რომ ყოველდღიური შრომის შედეგად წარმოქმნილი ნეგატივი პირდაპირ გავლენას ახდენს წელზე და ჩნდება კიდეც აუტანელი ფიზიკური ტკივილები.

ექსპერიმენტში 300 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც წელის მიდამოებში პერიოდული ტკივილებით იტანჯებოდნენ. დაკვირვება მათზე დაახლოებით 3 თვე გრძელდებოდა. შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტების 30 პროცენტში ტკივილის გაჩენის მიზეზი, უბრალოდ, არ არსებობდა, გარდა ერთისა – ისეთი საქმით დაკავება, რომელიც მათ არ უყვარდათ.

კვლევის დახმარებით ისიც დადგინდა, რომ, როგორც კი წელატკიებული მოხალისეები სამსახურს იცვლიდნენ, უსიამოვნო შეგრძნებები, ფაქტობრივად, იმ წამსვე უქრებოდათ.

– წელის ტკივილები ჩნდება იმის გამო, რომ საძულველი სამსახურის მიმართ სხეული აჯანყებას აწყობს, – ასეთია ავსტრალიელი მკვლევარების დასკვნა.

მაგარი რჩევაა – „სამსახური შეიცვალეთ“, გეგონება, იხვეწებოდნენ, მოდი, უნდა დაგასაქმო, ჩემი დედას ვფიცავარო...

*medkarta.com*

## ანტარქტიდაში არსებობს ორი ბუნებრივი ობიექტი, სახელწოდებით „უნას ძუძუები“



თოვლით დაფარული ორი ბაზალტის წარმონაქმნი ანტარქტიდის ნახევარკუნძულზე ლემერის არხის შესასვლელშია წამოჭიმული.

თითოეული მათგანი თოვლითაა დაფარული და გარეგნულად კოშკებს უფრო ჰგავს. ამის მიუხედავად, მათი ოფიციალური სახელწოდება უნას ძუძუებია.

სახელწოდება ლემერის არხის ერთგვარ კარიბჭეს ქალი მეცნიერის პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც ანტარქტიდის ბრიტანულ სამსახურში მუშაობდა და კოშკების შესწავლას რამდენიმე ათეული წელი მიუძღვნა.

*factroom.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სექსუალურად ჩაცმული ქალი მამაკაცს აიმპოტენტებს?!



საერთოდ, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ გამომწვევად ჩაცმული ქალი მამაკაცის აზროვნებაზე არცთუ სასიკეთო გავლენას ახდენს, თუმცა პოტენციაზეც თუ მოქმედებდა, ეს უკვე ახალი და თანაც ძალიან არასასიამოვნო სიახლეა.

რუსი მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ მამაკაცების დაავადებათა უმრავლესობაში დამნაშავეები სწორედ ქალები არიან, რომლებიც ჩაცმასა და ქცევებში ძალიან მსუბუქ სტილს ანიჭებენ უპირატესობას.

– შედეგად იმას ვიღებთ, რომ დასავლეთის ცივილიზაციაში სექსუალურად დაუკმაყოფილებელი და შედეგად, წარუმატებელი და ფიზიკურად არაჯანმრთელი მამაკაცების საზოგადოება სულ უფრო იზრდება, – ასეთია ჩვენი მეზობლების მოსაზრება.

ერთი გაფიქრება ვიფიქრეთ, რომ რუსები, უბრალოდ, კიდევ ერთხელ ცდილობენ, ამერიკასა და ევროპას კბილი გაჰკრან, თუმცა აღმოჩნდა, რომ თავად კონტინენტსგაღმაც ეთანხმებიან ჩვენი ჩრილოელი მეზობლების ამ პოზიციას.

კერძოდ, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 60 წელს გადაცილებული გარდაცვლილი მამაკაცების 80 პროცენტს სხვა დაავადებებთან ერთად, წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატიტის) კიბო ჰქონდა. ასევე, 30 წელს გადაცილებული ყოველი მესამე ამერიკელი და ევროპელი მამაკაცი პოტენციასთან და წინამდებარე ჯირკვალთან დაკავშირებულ პრობლემებს უჩივის.

ამ ყველაფრის ფონზე, რადიკალურად განსხვავებული სურათი იხატება მუსლიმანურ აღმოსავლეთში. კერძოდ, არაბულ ქვეყნებში მცხოვრებ მამაკაცებს პროსტატის კიბოს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ. თავდაპირველად მეცნიერებმა იფიქრეს, ხომ არ უკავშირდებოდა ეს სხვაობა კლიმატს ან კვების თავისებურებებსა და შეიხების რაციონი გულდასმით შეისწავლეს: თუ არის რომელიმე ისეთი პროდუქტი, რომელიც მაღალი პროფილაქტიკური თვისებებით გამოირჩევა. მსგავსი არაფერი გამოვლენილა.

– საქმე ისაა, რომ სექსუალური რევოლუციის მომენტიდან, განვითარებულ სახელმწიფოებში მცხოვრებმა ქალებმა ნახევრად შიშველ მდგომარეობაში დაიწყეს ქუჩაში სიარული, აღმოსავლურ ქვეყნებში კი მშვენიერი სქესი კვლავაც სამოსის მიღმა იმალება, – განმარტავს სიტუაციას რუსეთის კულტუროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, აკადემიკოსი ლეონიდ კიტაევ-სმიკი.

მისი თქმით, მამაკაცს არ შეუძლია ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომლებიც უნებურად ქუჩაში უჩნდება. ყველგან სიშიშვლეა — მინიკაბები, გამჭვირვალე მაისურები, შარვლიდან თავწამოყოფილი ტრუსები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ქალები, ალბათ, იკითხავენ, რა შუაშია მათი თამამი ჩაცმულობა მამაკაცის დაავადებებთან და იმპოტენციასთან?

მეცნიერებს მაგალითად ცხოველთა სამყარო მოჰყავთ: თუკი მამრი სუსტია, მდედრი მას ზურგს აქცევს. იმისთვის, რათა სუსტმა მამრმა ძლიერი მდედრი სადმე შემთხვევით არ მოიხელთოს, ბუნება თავდაცვით მექანიზმს თავად ააქტიურებს — მამრს წინამდებარე ჯირკვლის ანთება უჩნდება, იმპოტენცია.

სტატისტიკის თანახმად, მთელ მსოფლიოში იმპოტენციის შემთხვევათა 70 პროცენტი ორგანიზმის ბუნებრივი თავდაცვითი რეაქციაა მუდმივად არარეალიზებულ აღგზნებაზე.

აი, მიზეზების რეიტინგი, რომელთა გამოც ძლიერ სქესს იმპოტენციამ შეიძლება შეუტიოს:

1. ინტერნეტ-პორნოგრაფიის დათვალიერება; 2. ვიდეოეროტიკისა და პორნოფილმების ყურება; 3. ქუჩაში შილიფად ჩაცმული ქალების ცქერა; 4. ეროტიკული ჟურნალების კითხვა; 5. სტრიპტიზ-ბარი.

მოკლედ, ქალებო, თუკი მართლა თქვენ გვაზარალებთ მამაკაცებს და ისეთი უბედურებისთვის გვწირავთ, როგორიც იმპოტენციაა, დაფიქრდით — ვინ დარჩება სექსის გარეშე, მხოლოდ ძლიერი სქესი? წნუ!..

*pronowosti.ru*



მოქალაქე რეკავს წყალკანალში:

– ჩემი ონკანიდან წყალი მოდის!!!

– დიახ და პრობლემა რაშია?

– რაშია, ჩემო კარგო და რა თანხაც თქვენ მიერ გამოგზავნილ ქვითარშია ხოლმე ჩაწერილი, ონკანიდან მთლად კონიაკი თუ არა, ლუდი მაინც უნდა მოდიოდეს!!!

*****



ცოლი მურტალ „პახმელიაზეა“ და ქმარს ეკითხება:

– რას აკეთებ ხოლმე, როცა დალევის მერე დილაობით თავი გტკივა?

– შენს წყევლა-კრულვასა და წუწუნს ვუსმენ...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***



## სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ციტრუსი
2. ველური ვაშლი
3. მტაცებელი თევზი
4. ხის ბიჭუნა გრძელი ცხვირით
5. მეჩეთის კოშკი
6. რეჟისორი ალფონსო ...
7. ხელოვნური ვარცხნილობა
8. მატყუარა
9. სანაგვე ყუთი
10. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
11. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება
12. მსახიობი ფანი ...
13. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
14. მომღერალი ... ჯოხაძე
15. მხატვარი ოგიუსტ ...
16. მდინარე გერმანიაში
17. ნადირობის ქალღმერთი
18. ექს-პრეზიდენტი ჯიმი ...
19. მსახიობი ... ნაიტლი
20. არქიმედეს შეძახილი აბანოში
21. უმაღლესი განათლების მოწმობა
22. მომღერალი ლიზა ...
23. ზამთრის სპორტის სახეობა
24. ნეპალის დედაქალაქი
25. ძვირფასი ქვა
26. მხ/ფ „უცხო“ ლეიტენანტი ...
27. სამაგიდო თამაში
28. მსახიობი ... დეიმონი
29. რაიმეს შესრულების პირობა
30. ყურძნის ჯიში
31. შხამიანი გველი
32. პოეტების საკრებული მთა
33. მსახ. ტომი ... ჯონსი
34. ბიბლიური მოსეს ძმა
35. მოუჭიქავი კერამიკა
36. მსახ. ... დე ფიუნესი
37. მწერალი ჟიულ ...
38. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
39. ფერთა სიუხვე
40. ლუდის მასალა
41. დიდი კაშკაშა მეტეორი
42. ტკბილი კარტოფილი
43. მსახიობი ... რიშარი
44. მომღერალი ... ვაიკულე
45. პოპკორნი
46. მხატვარი ალბრეხტ ...
47. ... ხაჩატურიანი
48. საეკლესიო კრება
49. ინერტული აირი
50. მომღერალი ... მინოუგი
51. ცხენებშებმული ეტლი
52. იანის საპირისპირო
53. საწარმოო გაერთიანება
54. მეტსახელი
55. კავშირებითი სიტყვა
56. ბულგარელი ნათელმხილველი
57. ცეცხლის ენა
58. რუსი პოეტი
59. ... შანელი
60. ებრაული ენა
61. სპორტ. შეჯიბრების დასაწყისი
62. მსახ. ჟან-კლოდ ... დამი
63. ზეიმი ესპანეთში
64. შოტლანდიური ნაგაზი
65. ცხიმოვანი სიმსივნე
66. ყვავილი
67. ბზრიალა
68. მსახიობი ... ფაროუ
69. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
70. ძვ. თბილისური მიმართვა
71. რეჟისორი ჯონ ...
72. მსახიობი ... ტაილერი

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*



მეუღლე ნინო ნარინდოშვილი, შვილები ლუკა და დაჩი შუბითიძეები, ბებია მერი დეკანოსიძე, დეიდა მაია, ბიძა გელა შუბითიძეები, რძალი თამრიკო, სიდედრი ხალიანა, სიმამრი თამაზ ნარინდოშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლაშა შუბითიძის**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი:** 29, 30, 31 იანვარს;
**დაკრძალვა:** 1-ელ თებერვალს 14 სთ-ზე.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*


**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთები ალია და ქრონიკა

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

*ტელეფონი:* 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი


## ამერიკაში ყველაზე უმოწყალო მაღვიძარა გამოიგონეს



გიჭირთ ხოლმე დილის ძილის მიტოვება და გამოფხიზლება და მაღვიძარას ბევრჯერ უცვლით წინა დღეს მითითებულ დროს? თუკი ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, სწორედ თქვენთვისაა ზედგამოჭრილი მოწყობილობა, სახელწოდებით „რამოსი“, რომელმაც „მსოფლიოში ყველაზე უმოწყალო მაღვიძარას“ სტატუსიც მიიღო.

საუბარია მართლაც ყველაზე უმოწყალო და მომაბეზრებელ მაღვიძარიან საათზე, რომელიც ადამიანს საწოლიდან ყოველ დილით საჭირო დროს წამოაგდებს.

მიზეზი ის გახლავთ, რომ აუტანელი ხმა, რომელსაც მაღვიძარა გამოსცემს, შეუძლებელია უყურადღებოდ დატოვოთ, მისი გათიშვა კი არც ისე ადვილია.

პირველ რიგში, მას არ გააჩნია განმეორებითი სიგნალის ჩართვის ღილაკი, რომელსაც ადამიანები ხშირად ბოროტად იყენებენ ხოლმე. ერთადერთი ხერხი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე აუტანელ მაღვიძარას გათიშავს, კლავიატურიან პანელზე კოდის შეყვანაა, რომელიც სხვა ოთახში მონტაჟდება.

არ იფიქროთ, რომ მაღვიძარას გათიშვის საუკეთესო ხერხი მისი დამტვრევაა, რადგან მოწყობილობა საკმაოდ ძვირფასია და 200-დან 800 აშშ დოლარამდე ღირს.

მოკლედ, „რამოსი“ მართლაც ძალიან ეფექტური მაღვიძარაა და თუკი სამსახურში უჟმური უფროსი გყავთ, რომელიც დაგვიანების გამო გემოზე მიგალანძღავთ, სჯობია ჯიბე ცოტა შეითხელოთ და დილაობით თავის დროზე დაუძვრეთ საწოლს.

*drunov.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**29 იანვარი:** დღეს სამსახურებრივი საიდუმლოებების გულმოდგინედ დამალვა მოგიწევთ. შეეცადეთ, თავი ზედმეტი ინფორმაციის გავრცელებისგან დაიზღვიოთ.

**კურო 22.04-21.05**
**29 იანვარი:** დღეს თქვენი მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს. ძალები მოგემატებათ და რამდენიმე პრობლემურ საკითხს მოიშორებთ. დროა, ის საქმე წამოიწყოთ, რომლის წარმატებისაც გჯერათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**29 იანვარი:** მხიარული დღე უნდა გქონდეთ. რაც შეეხება მნიშვნელოვან საქმეებს, უმჯობესია, დაივიწყოთ. დიდი ალბათობით, ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**29 იანვარი:** თამამად შეგიძლიათ, საკუთარ გრძნობებზე ისაუბროთ, ეს არანაირ უხერხულობას არ გამოიწვევს, თუკი თქვენს გულისსწორს დაელაპარაკებით და არა პირველ შემხვედრს.

**ლომი 23.07-22.08**
**29 იანვარი:** წესით, დღეს დიდი სტუმრიანობა უნდა გქონდეთ. რომც არავინ დაპატიჟოთ, ვინმე მაინც მოვა.

**ქალწული 23.08-22.09**
**29 იანვარი:** შეეცადეთ, თქვენი მომხიბვლელობა ნაკლებად გამოიყენოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვიღაცას თავი დააკარგვინოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**29 იანვარი:** შეიძლება დღეს დასვენება მოგინდეთ თქვენგან ყველაზე ძვირფასი ადამიანებისგანაც კი. შეეცადეთ, ისეთ ადგილას განმარტოვდეთ, რომ ვერ მოგაგნონ.

**მორიელი 23.10-21.11**
**29 იანვარი:** წარმატებას მიაღწევთ, თუკი თქვენს განზრახვაზე არავის ეტყვით და ჩუმად იმოქმედებთ. თუ გაახმაურებთ, არაერთ დაბრკოლებას წააწყდებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**29 იანვარი:** დღეს ლიდერობისკენ ლტოლვის მოთოკვა მოგიწევთ. შეეცადეთ, მოერიდოთ იმაზე საუბარს, ვინ არის მთავარი და ზოგიერთ რამეში პოზიციები დათმეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**29 იანვარი:** ძალიან ნელა და დაძაბვის გარეშეც რომ იფუსფუსოთ, დიდია ალბათობა, რომ გადაიქანცოთ. უბრალოდ, ეს დღე სამუშაოდ არ გამოდგება.

**მერწყული 20.01-18.02**
**29 იანვარი:** შეეცადეთ, ინფორმაციის ვერბალური გადაცემისგან თავი შეიკავოთ. გამოხატვის თქვენეული მანერა ბევრს აღაფრთოვანებს.

**თევზები 19.02-20.03**
**29 იანვარი:** შეიძლება ვიღაცასთან თქვენი ურთიერთობები სასწორზე დაიდოს. ის, რაც დღეს კარგ იდეად გეჩვენებათ, რომელიც მინიმალურ მსხვერპლს მოითხოვს, შეიძლება მომავალში სადარდებელი გაგიჩინოთ.

## მეცნიერებმა მავნე ცხიმების სასარგებლოდ გადაქცევა შეძლეს



რა გვაინტერესებს, იცით? ამდენ საშუალებას რომ იგონებენ სიმსუქნის დასამარცხებლად, რატომღა რჩება ჭარბი წონა მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად?!

სანამ ამ საკითხში გავერკვეოდეთ, აღნიშნული მიმართულებით გამოჩენილ კიდევ ერთ სიახლეზე მოგიყვებით, რომელიც, იმედია, ცოტათი მაინც შეამსუბუქებს სიმსუქნის ძალიან აქტუალურ პრობლემას.

როგორც ირკვევა, ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, ძუძუმწოვრების ორგანიზმში დაგროვილი ცხიმები ერთი ტიპიდან მეორედ გადაიქცეს. ეს კი თავის მხრივ, კალორიების უფრო სწრაფად წვასა და წონის შემცირებას განაპირობებს.

ექსპერიმენტი ამ შემთხვევაშიც თაგვებზე ჩატარდა, თუმცა მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ანალოგიური შედეგის მიღება ადამიანების შემთხვევაშიც მოხერხდება.

უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ადამიანის ორგანიზმში ყოფილა ე.წ. ყავისფერი და თეთრი ცხიმები. ეს უკანასკნელი მავნედ მიიჩნევა, რადგან ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს. რაც შეეხება პირველს, პირიქით, ის ადამიანის ორგანიზმში ენერგიის წყაროს ფუნქციას ასრულებს და სითბოს გამომუშავებასა და კალორიების დაწვაზეა პასუხისმგებელი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით, ყავისფერი ცხიმები ახალშობილებში გვხვდება.

წლების მატებასთან ერთად, ყავისფერი ცხიმების რაოდენობა მცირდება, მის ადგილს თეთრი იკავებს და ჩვეულებრივ, თეძოს მიდამოებში გროვდება.

სწორედ ამ მავნე თეთრი ცხიმების დამარცხება შეძლეს ამერიკელებმა, თუმცა რა გზებით, ამას ჯერჯერობით საიდუმლოდ ტოვებენ. ერთი კია, ისინი პირობას იძლევიან, რომ ადამიანები მათგან დახმარებას უახლოეს მომავალში მიიღებენ და ჭარბი წონის პრობლემა ძველებურ აქტუალობას დაკარგავს. ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია – დაველოდოთ...

*netbolyachek.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ამერიკელი, ფრანგი და ქართველი კამათობენ, რა არის ბედნიერება.

ამერიკელი: ბედნიერებაა, როცა საკუთარი ვილის ვერანდაზე ზიხარ, ნება-ნება ვისკის წრუპავ, ოკეანეს უცქერი და აღფრთოვანებული ხარ იმით, როგორი მაგარი იახტა გყავს...

ფრანგი: არა, ბედნიერება ის არის, როცა ყველაზე ძვირფას რესტორანში ზიხარ, მიირთმევ ყველაზე ძვირადღირებულ ღვინოს, ერთ ფეხზე ერთი ლამაზი ქალი გიზის, მეორეზე – მეორე, ხოლო სახლში კიდევ ერთი გელოდება...

ქართველი: აზრზე არ ხართ არც ერთი! ბედნიერებაა, როცა დილით საკუთარი სამსართულიანი სახლიდან გამოდიხარ, აუზისკენ მიდიხარ და ამ დროს სახლთან ორი ავტობუსი ჩერდება: ერთიდან სპეცრაზმი ხტება, მეორიდან საგადასახადო, ალყაში გაქცევენ, ხელებს გიგრეხენ და გეკითხებიან: „ეს არის საირმის ქუჩა №12?“, შენ კი უპასუხებ: „არა, ეს 21-ია, 12 ნომერი ცოტა მოშორებითაა“...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია » 211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძვანიაშვილი

რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.42

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49



სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.